# საქართველო

მიიღება განცხადებები

1-ლ აპრილიდან:
სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 6 მანეთი მე-4-ე გვერდზე—4 მანეთი. გარეშე ცნობები შე-
თანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 10 მან.
სამგლოვიარო განცხადება—200 მან. 30 სტრიქონის. ორი საათის შემდეგ სტამბაში 250 მან.

1-ლ აპრილიდან გაზეთი ღირს: 6 თვით—900 მან. 3 თვით 450.

კონტორა ღიაა 9 ს.—3 ს. და საღ. 5—7 ს. უქმე დღეებში კონტორა დაკეტილია.
მისამართი: თბილისი, სასახლის ქ. № 5. კონტორის ტელეფ. 15—73.

ყოველდღიური გაზეთი — ორშაბათობის გარდა

ხუთშაბათი, აპრილის 1 1920 წ. № 70

ფასი 5 მან.



ეროვნული ბიბლიოთეკა



არტისტიულ საზოგადოების თეატრი 1919—20 წლის სეზონი ტარტო

# ელამი ჯიმმი

ყოფ. პეტროგ. „ბი ბა-ბო“ „ჯიმმიადა“

2) სალამი ქართველ ერს ავტორი: ნ. აგნივცევი
ნ. ნ. ხოდოტოვი

5) სალამოს ზარი ავტორი: დელვიჩი
კომპოზ.: პოსტნიკოვი
რეჟისორი: ივ. ვოლსკი.

8) ოთხი პაჟის სერენადა
ს. ბ ვოლსკაია, ე. ნ. ნევეროვა, ა. ფ. პერეგონეც, ქ. ს. სუდეიკინა და ფ ნ. კურიხინი,

11) ს. პეტერბურგი 1-ლი სერია ავტორი: ნ. აგნივცევი.
ა. ფ. პერეგონეცი. კომპოზ: ნ. სნელმან.
რეჟის: ქ. მარჯანოვი.

მოხეტიალე კომედიანტები
მთელი დასი
ავტორი: ნ. აგნივცევი, კომპოზ. ნ. სნელმანი, რეჟ. ქ. მარჯანოვი.

3) თეთრი ღამით ავტორი: ნ. აგნივცევი
გრ. ერმოლოვისა და სხ. კომპოზ. ნ. ხოლშევნიკოვი
რეჟის. გრ. ერმოლოვი.

6) რომელი ორთაგანი ავტორი: ნ. აგნივცევი
ე. ნ. ნევეროვის, ო. ნ. ნეიმან კომპოზ.: ნ. სნელმანი
და გრ. ერმოლოვი. რეჟისორი: ოზაროვსკი.

9) ქება ქებათა ავტორი: საშა ჩერნი.
მთელი ტრუპპა. კომპოზ.: ნ. სლეიმან.
რეჟ.: ივ. ვოლსკი.

12) სალონის ხორო „ელამი ჯიმი“

აპრილის 2 პარასკევი

მხოლოდ 2 გასტროლი თეატრის

აპრილის 3 შაბათი

4) მეშჩანური პოლკა ავტორი: ნ. აგნივცევი
ე. ნ. ნევერსკის და ი. ა. ვოლსკი კომპოზ: ნ. სნელმან
რეჟის.: ივ. ვოლსკი.

7) ძველი მოსკოვი ავტორი: ნ აგნივცევი
ნ. ნ. ხოდოტოვი და სხ. კომპოზ.: ი. იურგენსონი
რეჟისორი: ივ. ვოლსკი.

10) ჭადრაკის მეფე. ავტორი: ნ. აგნივცევი.
ო. ნ. ნეიმანი და გრ. ერმოლოვი. კომპოზ: ს. რუბლევი.
რეჟის: ქ. მარჯანოვი.

კონფერანსიე ფ. ნ. კურიხინი.
დასაწყისი საღ. 7 ნახ. ს.
დღის 11—2 და საღ. 6 საათ.

დირექცია ი. გ მაჩაბელი.
ბილეთები თეატრის კასაში


ღრმათ მწუხარებაში მყოფნი ილარიონ ივანეს ძე, პლატონ და ივანე ილარიონის ძენი რატიანები, ანასტასია ილარიონის ასული და მღ. რაჟდენ სიმონის ძე ჩარგეიშვილები, მარია ილარიონის ასული და აპოლონ კლიმენტის ძე გოგორიშვილები და ნინა ამბაკოს ასული ჩუნეშელიძე, გაუწყებთ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ შაბათს 3 ს აპრილს (ახალი სტილით) (ქ. ხონი) სოფელ კონდოეთში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, პირველის დაუვიწყარ მეუღლისა, მეორეს და მესამის საყვარელ დედისა და მეოთხის ძმისწულის ბებიისა.

## ვარდიკო პაციას ასულის
# რატიანის

სულის მოსახსენებლათ დასაწყისი წირვის დილის 10 საათზედ.
3039 3—1

ექიმი ალექსანდრე ლუკას ძე მეუღლით მარია და მელქისედეკი გრიგოლიები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ უდროოდ დაკარგვას საყვარელ და დაუვიწყარ პირველის შვილისა და მეორის ძმის წულისა

# ვახტანგისა

გამოსვენება და დასაფლავება იქნება პირველ აპრილს ადგილობრივ კათედრალურ სობოროში—სოხუმში. 2—3042—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ბაჭუა კუპრაშვილი, დედა ბაცუნია დადეშქელიანისა შვილებით, დედამთილი მინადორა კუპრაშვილისა შვილებით, ბიძა მურზაყან და ბიცოლა პაშა დადეშკელიანები და მამიდა ცაპუ ჩიქოვანისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უძვირფასესი და უსაყვარლესი

## მარუსია (გვილიფხი) ლევან დადეშკელიანის ასული კუპრაშვილისა

უდროოთ გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება 2 აპრილს ნაშუადღევის 4 საათზე. მიცვალებულს გამოასვენებენ საკ. სახლიდან ქვარიანების ქუჩა და დაასაფლავებენ მწვანე ყვავილის ეკლესიაზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღ 6 საათ. 3047 1—1

პარასკევს აპრილის 2-ს გარდაცვალების წლის თავზე

## ალექსანდრე ივანეს ძე ჯამბაკურ-ორბელიანის

სულის მოსახსენებლათ გადახდილ იქნება სიონის ტაძარში წირვა და პანაშვიდი რასაც აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მისი ქვრივი მარიამ ვახტანგის ასული. წირვის დასაწყისი დილის 10 ს. პანაშვიდის 12 ს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო-მკურნალობის მასწავლებელნი მწუხარებით აუწყებენ, რომ მათი ძვირფასი თანამშრომლის, სამათ. საბუნებისმეტყველ. ფაკულტეტის საქმის მწარმოებლის.

## ელენე სვიმონის ასულ კლდიაშვილის

რომლის ნორჩი სიცოცხლე ორშაბათს, 29 მარტს, უდროოდ ჩაიფერფლა. დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, 1 აპრილს, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე.
1—3043—1

ქვირას 7-ე მარტიდან თბილისში გამოვიდა ყოველკვირეული გაზეთი

# „სასოფლო გაზეთი“

„სასოფლო გაზეთს“ აქვს შემდეგი განყოფილებანი:
საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, ვაჭრობა და მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება.
„სასოფლო გაზეთში“ მონაწილეობს იღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.

რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.

რედაქცია იმყოფება დამფუძნებელ კრების (სასახლის) ქუჩაზე № 5, გაზეთ „საქართველოს“ ბინაზე. გაზეთის ფასი თვიურად 12 მან. თითო ნომერი 3 მან. რედაქტორი ნიკო კაიშაური 4—3—17

კინემატოგრაფი მინიონი

მარტის 31-დან აპრილის 1, 2 და 3-მდე

პოლონსკი მხატვრულ დადგმაში

# „ადამიანური უფსკრულები“

დრამა 5 ნაწილად.

30 ამა მარტს 1920 წ. სოფ. მარტყოფში გარდაიცვალა

## მღვდელი სოლომონ გერსტაშვილი

დაკრძალვა მოხდება შაბათს 3 აპრილს მარტყოფის ტაძრის გალავანში. მისი შვილები აუწყებენ ამას ყველა ნაცნობთ და ნათესავთ.
(1—3045 1).



# ქიმერიონი

(რუსთაველის პრ., 23,)

ყოველ დღე 1—5 საათამდე.

სადილები

ხუთშაბათს, აპრილის 1-ს

# დიდი საღამო

პროგრამაში ინსცენიროვკა და შარჟები ქართულ ენაზე.

შეუდარებელი წყვილი სალონურ ცეკვის

ტრუზი და ველტე და სხ.

ყრილობა საღ. 11 ს.

ანონსი: პარასკევს, აპრილის 2-ს საღამო კონფერანსიე ნეჩაევის. პრემიერა „ქიმერიონის“ ლიდია ჯონსონის და კონსტანტინე ალპეროვის ახალ ცეკვაში გამოსვლა.

სუფრებზე ჩაწერა მიიღება.

## ქართული კლუბი

ხუთშაბათს 1 აპრილს 1920 წელს.

ქართული დრამატიული სტუდიის წრის მიერ წარმოდგენილი იქნება.

# „ხანუმა“

კომ. 3 მოქ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობენ: ქ ქ. ჯამბეკელი ბ. ეპიტაშვილის, ნ ნონი ციმაკურიძე, ბ. ბ. გელოვანი მ, ვასაძე ა., სარაული მ, ფირანისპირელი, ძნელაძე, შიაურელი მ.

რეჟისორი: კ. შათირიშვილი.

დასაწყისი ხაღამოს 9 საათზე.

კლუბში შესვლა საზოგადო წესით. 1—63—1.

დღეს

მიხეილის

# ალკაზარ

პლეხანოვის ქ. 91

ჩვენთან ორი პროგრამა ერთად:
ახალი ნომრები

1. „დასჯილს ხელი ჰკარ“ დრამა 4 მოქმედებად.
ა. ვერტინსკის
სიმღერების ავტორის მონაწილეობით
2. პარიზიდან ეხლახან მიღებული
„ხელის სიმღერა“
დრამა 4 მოქმედებად.
ულამაზესი ლ. პუატკარის მონაწილეობით.
ანონსი: ამ დღეებში დიდებულ კომპოზიტორ ბეტჰოვენის კვირაა, იკითხეთ აფიშები.

პირველხარისხოვანი რესტორანი

# „მტკვრის-პირას“

ვორონცოვის ძეგლთან. ტელ. 11 53.

ევროპიული და აზიური კერძები

ადგილობრივი და საზღვარგარეთული სასმელები საუკეთესო ფირმებისა და მარკისა.
შეიძლება დაკვეთა ყოველგვარ ნადიმ-ზეიმისა.
რესტორანთან მოწყობილია საუკეთესო ახლად შეკეთებული მყუდრო
სათამაშო დარბაზები
რესტორანი ღიაა დილის 10 ს. ღამის 2 საათამდე.
3004 10 2 პატივისცემით დირექცია.

პირველი ხარისხის რესტორანი

# ედემი

გვაქვს პატივი ამით ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ შედგა ამხანაგური არტელი ყოფილი კ. ნ. ბაქრაძის 1 ხარისხოვანი რესტორანი ვერაზე და წლის-ნახევარის დახურვას და დიდი შეკეთების შემდეგ ამ დღეებში ისევ დაიწყებს წარმოებას. ამხანაგების მონდობილობით ბაქრაძე.

30—3044—1



პირველ-ხარისხოვანი

ცირკი „კრისტენს“

ვერის დაღმართზე. ტელ. 5—62.

ხუთშაბათს აპრილის 1 ს 1920 წ.

შესდგება გრანდიოზული წარმოდგენა, ახლად ჩამოსულ №-ების მონაწილეობით. ცნობილ იაპონურ აკრობატების და ეკვილიბრისტების . . . . ნაიტოს . . . . და ცნობილ ავტორ იუმორისტის თბილელ კინტოს . . . მესტიაშვილის . . . მონაწილეობით.

ფრანგულ ჭიდაობის ჩემპიონატის გაგრძელება 1920 წ. ფულავნის სახელის მოსაპოვებლად, არბიტრი ვალოდია კვიატკოვსკი.

1) ამერიკელი მოჭიდავე და ბოქსიორი საქართველოს უღონიერეს მოჭიდავე სმით ვესტერგარდი—სანდრო კანდელაკი.
2) გადამწყვეტი რევანში-ჭიდაობა: ერმაკოვი—მუნჯა ალი.
3) ბულის მოწამვე უკრაინის ფალავანი: ფილიპენკო—სანდაროვი.

ანონსი: ხვალ თბილელ კინტოს ავტორ-იუმორისტის მესტიაშვილის ბენეფისი.

დასაწყისი: 8 ნახ. საათზე პარადი 10 ნახ. საათზე.

გამგე: იურიევი.

გაიხსნა კავკასიაში პირველი

# დაწნული ავეჯის ქარხანა

## საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირისა.

ვენურ ავეჯეულობის გარდა ქარხანაში მზადდება ავტომობილის რკალები, ფერსოები და სხვა.

მისამართი: ჩერქეზიშვილისა და ანტონოვის ქ. კუთხე № 1. 62 5—1

# დ ღ ე ს:

ყუბანის ყაზახებმა სოჭი დაიჭირეს.
ბაქოში ბოლშევიკური შეთქმულობა აღმოაჩინეს.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:


მეთაური—აზერბაიჯან სომხეთის ომი.
— სომხეთ აზერბაიჯანის შეტაკება.
ავ. აბესაძე—ბათუმი.
დოქ. ქ. ცინცაძე—რა საშვალებით უნდა დაკმაყოფილდეს საქართველოს ეკლესიის საჭიროებანი.


## აზერბაიჯან-სომხეთის ომი

„აზერბაიჯანის მთავრობამ, დაარღვია რამდენჯერმე მის მიერ ნაკისრი ვალდებულებანი... და, მარტის 20 ს, ერთსა და იმავე დროს სხვა და სხვა მხრიდან თავს დაესხა სომხეთის ყარაბაღს და ზანგეზურს" ატყობინებს სომხეთის პრემიერი მოკავშირეთა წარმომადგენლებს.

„22 მარტს, ღამის 3 საათზე ბაირამის დღესასწაულის დღის შემდეგ, სომხეთის შეიარაღებული ძალებმა რეგულიარი ჯარის და არტილერიის ნაწილებთან ერთად ისარგებლეს მით, რომ ყარაბაღის რაიონში მხოლოდ მცირედი ნაწილი იყო აზერბაიჯანის ჯარისა, თავს დაესხენ აზერბაიჯანის ჯარის ნაწილებს შუშაში, არანკალში, ასკერანში და სხვაგან".—ასე აცნობებს ჩვენს საგარეო საქმეთა მინისტრს, ბ-ნი ხან-ხოისკი.

სათადარიგო ნაწილები, არტილერია, სამარი მზადება ორივე სახელმწიფოში—ერთი სიტყვით ყველა ატრიბუტები იმ საშინელი ამბებისა, რომელსაც ომი ეწოდება; სისხლი იქცევა ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის და მას უკვე იმდენათ ახდილი და საჯარო ხასიათი აქვს, რომ სომხეთის დეპეშათა სააგენტო ამ ომის მომდინარეობას, ყოველ დღე, საგანგებო ოპერატიული ცხრილით გვაცნობებს. ორ მეზობელ სახელმწიფოთა შორის, ნამდვილი ომია გაჩაღებული—სხვა გვარად არ შეიძლება, რომ დახასიათდეს ეს სისხლის ღვრა!

ვინ არის დამნაშავე ამ სისხლის ღვრაში?—ეს საკითხი დღეს ვერ გადასწყდება, მაგრამ მდგომარეობა რომელიც შეიქნა აზერბაიჯან-სომხეთის შორის, საშიშია არა მარტო ამ ომში მონაწილე სახელმწიფოთათვის არამედ სახიფათოა ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკისათვის და ამიტომ საქართველოს არ შეუძლია გულგრილად შეხვდეს მომხდარ ამბებს:

მაშინ, როდესაც ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა წინაშე ახდილად და ნათლად წამოიჭრა ჩრდილოეთის საფრთხე და მომენტი სამივე რესპუბლიკისაგან მტკიცე და ენერგიულ კავშირს ითხოვს, საერთო საფრთხის საერთო ძალებით დასახვედრათ, ორი ამ სახელმწიფოთაგანი ურთიერთ ომში ებმიან და ამით, ძალაუნებურად, საერთო წრიდან გამოდიან!

თუ აზერბაიჯან-სომხეთის ომი ალკვეცილი არ იქმნა, საქართველო განმარტოებული დარჩება მომდგარი მტერის წინაშე, რომელიც მას არაფრით არ დაინდობს! მაგრამ არც ჩვენს მეზობელ—რესპუბლიკათ დაუდგებათ ბედნიერი დღეები: ურთიერთშორის სისხლის ღვრით დასუსტებული სახელმწიფოები იოლი ნადავლი გახდებიან იმ ჩრდილოეთიდან მომდგარი ძალების, რომელნიც მათზედაც ისევე ილესავენ კბილებს, როგორც საქართველოზედ.

საქართველოს ისტორიული ტრადიცია აქვს ამ ორ სახელმწიფოთა დავას და სისხლის ღვრაში შუამავლობის და დღეს, ისე როგორც არასოდეს, შუაში ჩავდგეთ მათ შორის და საზაო წინადადება მივსცეთ მათ!

ამ მხრით, ჩვენ კმაყოფილებით ვხვდებით, ბ-ნ ე. გეგეჭკორის მიერ გადადგმულ ნაბიჯს მათი შესარიგებლად მოწვევისათვის და სავსებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია იმ კონფერენციის მოწვევა, რომელიც ხვალ უნდა გაიხსნას თბილისში.

მაგრამ ეს კონფერენცია უნდა განსხვავდეს იმ წარსული დროის კონფერენციათაგან: აქ, თბილისში, ორივე სახელმწიფოს მეთაურნი, ყოველთვის ჰპოულობდნენ საერთო ენას და მათი შეხვედრა ყოველთვის თავდებოდა შეთანხმებით, მაგრამ ამ კონფერენციათა მონაწილენი ვერც კი ასწრებდნენ თავიანთ ადგილს მისვლას, რომ ძველი ამბები ისევ იწყებოდენ და სისხლის ღვრას დასასრული არ უჩანდა..

ეს მდგომარეობა ერთხელ და სამუდამოთ უნდა გამოირკვეს, ხვალ თბილისის კონფერენციაზედ უნდა იჩქვას ყველაფერი, რაც სადამელია, უნდა ფარდა აეხადოს, რაც დაფარულია, რომ აუცილებელი შეთანხმება, ერთხელ და სამუდამოთ მიღწეულ იქმნეს.

## დენიკინი და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები

(ინგლისური პრესა).

**ლონდონი.** მარტის 16. დენიკინმა ქართველებთან მოლაპარაკება დაიწყო. მას განზრახვა აქვს აღიაროს საქართველოს მთავრობა და მზად არის საქართველოს საჭირო სურსათი უგზავნოს. ასეთივე შეთანხმების განზრახვა აქვს დენიკინს აზერბაიჯანთან.

## ბოლშევიკების შეთქმულება ბაქოში

ჰაბიბ ჯაბიევთან აღმოჩენილ მიწერ მოწერიდან აღმოჩენილა რომ ქ. ბაქოში და აზერბაიჯანის მთელ ტერიტორიაზე ადგილობრივ ბოლშევიკებს ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის სახით უწარმოებიათ აჯანყების მოწყობა რომელსაც მიზნად ჰქონია დამხობა აწ არსებულ წესწყობილებისა და საბჭოთა მთავრობის დამყარება და განმტკიცება. ამ მიზნით გლეხებსა, მუშათა და ლაშქრის შორის უწარმოებიათ ფხიზელი აგიტაცია რაზედაც აუარებელ მატერიალური სახსრები უხარჯვიათ.

ჰქმნიდენ საიდუმლო ბოლშევიკურ იაჩეიკებს განსაზღვრულ როლებით. საომარ ორგანიზაციათა მოწყობას ადგილი ჰქონია ყველა მუშათა რაიონებში ქ. ბაქოსა და აზერბაიჯანის ყველა ქალაქებში. ამ იაჩეიკების სათავეში დაუყენებიათ საგანგებო კომისრები. სამხედრო ორგანიზაციები დაყოფილი იყო შემდეგ ნაწილებად —კონტრ მზვერავი, ოპერატიული პოლიტიკური, ამაფეთქებელი ნაწილი და სასურსათო ნაწილი.

საბუთებ შორის აღმოაჩინეს ბრძანება სამხედრო სარევოლიუციო კომიტეტის დაარსების შესახებ.

საქმე საპროკურორო ნაწილს გადაეცა. ბრალდებულნი დააპატიმრეს.

## აზერბაიჯან-სომხეთის შეტაკება

ყ ა რ ა ბ ა ხ შ ი.

(ოფიციალური ცნობა).

სომხეთა ბანდების თავდასხმა შუშასა, ხანგედსა, ტერტერსა და ასკერანზე —გრძელდება. ეს იერიშები ყველა მოგერიებულ იქმნა. ზანგეზურის სანახებში მაჰმადიანთა რამდენიმე სოფელი გაანადგურეს.

სომხეთა შეიარაღებულ ძალებისგან ასკერანის დაჭერის გამო ყარაბახის მთიური ნაწილი ვაკესგან ჩამოჭრილია.

**სომხეთა თავდასხმა ორდუბათზე.**

ორდუბათიდან გვატყობინებენ: მარტის 7-ს ორდუბათში მიიღეს ცნობა სომხეთა შეტევის შესახებ კარჩევანისა და მიგლის მხრივ ქ. ორდუბათისა და სხვა პუნქტებზე. ეს ამბავი წინათვე იცოდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებმა და ქალაქის გარშემო შემოსეულ მოპირდაპირეს თხრილებში ჩაუსხდნენ.

მეორე დილით, მარტის 8-ს სომხებმა შეტევა დაიწყეს მაგრამ არა იმ მიმართულებით, რომელსაც მცხოვრებნი ელოდნენ, არამედ ოჯნოუტის და ნუს-ნუსის მთიდან. ქარჩივანის ერთი მხრიდან სომხები შეცვივდნენ ს. სურტ-დეროში და ასკეროვის მამული ააოხრეს, მანვე შემდეგ გაანადგურა მალიკ იბრაგიმი და შეეცადა ქალაქში შესვლას სასაფლაოს მხრით.

აქ სასტიკი ბრძოლა გაიმართა რის შემდეგ სომხებმა დასტოვეს 300 მოკლულ-დაჭრილი და გაიქცნენ, დასტოვეს რა ბრძოლის ველზე გარდა თავის ამხანაგებისა 12 ჯორი, 7 ტყვიისმფრქვეველი და მრავალი სხვა საომარი მასალა.

ორდუბათში უკანასკნელად მიღებულ ცნობებით, ორდუბათში დამარცხების შემდეგ სომხებმა მთელი თავისი ძალები შეაგროვეს ყურთ-დურეს გარშემო და ნუს-ნუსის მთიდან ახალ შეტევისთვის ემზადებიან.

**ოპერატიული ცნობა მარტის 27.**

(სომხ. დეპ. სააგ.)

**ერევანი 29 მარტი.**

მარტის 27-ს ს. ჯანათამალთან ახლოს მოპირდაპირის მხრიდან მონაწილეობას იღებდნენ ოსმალთა 120 ასკერი და ტყვიისმფრქვეველები, ორგოვიდან ჩამოსულები.

ყამარლუს მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა დაიჭირეს ბეზმურუნის სიმაღლე. მარტის 28 ს თათრები შეეცადნენ მოევლოთ ბუზბურუნის მარცხენა ფრთის პოზიციებისთვის, მაგრამ უკუ ვაქციეთ.

## მდგომარეობა გერმანიაში

### ფრანგული პრესა

**რურის ოკუპაციისთვის.**

გერმანიის მთავრობა დაჟინებით მოითხოვს საფრანგეთის თანხმობას რურის ოლქის ოკუპაციაზე წესრიგის აღსადგენად. მილიერანმა ამაზე თანხმობა განაცხადა იმ პირობით, რომ მოკავშირეთა საფრანგეთის ჯარი მოახდენს ფრანკფურტისა და დარმშტატის ოკუპაციას და ამ ქალაქების ევაკუაციას მას შემდეგ, როდესაც გერმანიის ჯარი მიაღწევს მიზანს და იგი უკანვე რურის ოლქიდან დაბრუნებული იქნება. კანცლერ მიულერმა ეროვნულ ყრილობაზე განაცხადა, გერმანიის მთავრობას არ შეუძლია ამ ახალ გარანტიებს დათანხმდეს და მან პარიზს შეატყობინა, რომ რურის ოლქში ჯარი არ იქნება გაგზავნილი მოკავშირეთა დაუდასტურებლად. ვოლფის სააგენტოს ცნობით, რურის რევოლიუციონერებმა მიიღეს მთავრობის ულტიმატუმი, რომლის ვადა 30 მარტს შუადღეზე თავდება და რომელიც შეიცავს კონსტიტუციონურ მართველობის აღიარებას, წითელი ჯარის დაშლას და მცხოვრებთა განიარაღებას.

### ინგლისური პრესა

პარიზში მოვიდა გერმანიის სამხედრო მისია რათა მოკავშირეებს რურის ოლქში ჯარის შეყვანის ნებართვა სთხოვოს.

**მთავრობის ჯარისა და ინსურგენტების შეჯახება.**

ისევ მოდის ცნობები მთავრობის ჯარისა და ინსურგენტების შეჯახებისა და გერმანიის სხვა და სხვა ადგილას მყოფ მღელვარების შესახებ, იმავ დროს სპარტაკელები იუწყებიან, რომ ვესტფალში იმარჯვებენ.

**ერნესტ-დეიმიგი.**

(საქ. დეპ. სააგ.).

**ამერიკული ცნობები.** გაზ. „ჩიკაგო ტრიბუნის" კორესპონდენტი სწერს. „ნება მიბოძეთ აგიწეროთ თქვენ № 2 ლენინი ბატონი ერნესტ დეიმიგი, რომელიც ეხლა გამოჩნდა ჰორიზონტზე. გერმანიის რევოლიუციონური ჰორიზონტის განხილვა მისი დახასიათებიდან უნდა დავიწყოთ. ყველა მის გარშემო მდგომ პირებს ჩრდილავს მისი პიროვნება. იგი თითქმის განსვენებულ ლიბკნეხტის მოადგილეთ შეიძლება ჩაითვალოს. დეიმიგი არის ლიდერი დამოუკიდებელ სოციალისტურ პარტიისა, რომელიც ეხლანდელ ეროვნულ კრებაში წარმოდგენილია 22 წევრით. იგი გამოვიდა ფრაქციის უკიდურეს მემარცხენეთა ფრთიდან და პრაქტიკაში ისე ახლოს სდგას კომუნისტებთან, რომ განსხვავება ძალიან მცირეა. კაპის გადატრიალების გაცხარებულ ხანაში, როდესაც ბერლინი შეიარაღებულ მონარქისტების ხელში იყო და ებერტის მთავრობა გაიქცა, მაშინ დეიმიგმა მოაწერა ხელი პროკლამაციას, სადაც „ხალხს" ლიკვიდაციის ძალების წინ აღმდეგ პროლეტარულ აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. დეიმიგი ეხლანდელ მთავრობისაგან მოითხოვს მთავრობის იმ ჯარების განიარაღებას, რომელიც რურის ოლქში ებრძვის ბოლშევიზმს და იარაღის გადაცემას პროლეტარიატისადმი, როგორც სრულ ნდობის გარანტიას. ის მოითხოვს კაპისტების მკაცრ დასჯას და იმუქრება მთელ გერმანიაში ახალი საერთო გაფიცვის გამოცხადებით, აშკარათ, მოითხოვს ეხლანდელ მთავრობის საბჭოებით შეცვლას იმ მიზნით, რომ არა თუ მრეწველობა, არამედ გამგებლობა, განაწილება და მოხმარება იყოს მხოლოდ და მხოლოდ მუშათა კონტროლის ქვეშ. უეჭველია, რომ გერმანიაში დაწყებულ კომუნისტურ მოძრაობას, ხელს უწყობენ რუსი ბოლშევიკები. უეჭველია, რომ გერმანიის რევოლიუციონერებმა რუსეთიდან მიიღეს ფული და დირექტივები. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ გერმ. და რუს. კომუნისტებს შორის განსხვავება არის სახ. მართველობის საკითხში. რუსეთის საბჭოთა პოლიტიკის ძირითადი განსხვავება იმაშია, რომ საბჭოები არის უფლებით წარმომადგენელი, დეიმიგის პროექტით კი მას სურს, რომ მთავრობაში შევიდნენ მშრომელთა სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენლები და ისინი, ვინც თავით და ხელით მუშაობენ. სხვაგვარად რომ ვსთქვათ, როგორც დეიმიგის მიმდევრები ამბობენ, მაშინ, როდესაც რუსეთის საბჭოები მარტოთ და მარტოთ პოლიტიკური ხასიათის არის გერმანიის, „რეტე" საბჭოები უმთავრესად ეკონომიური ხასიათის იქნება და ეს მიუხედავად საერთაშორისო საბჭოთა ქიშპობის პლანის მისაპობისა. დეიმიგმა, რომელიც შესახედავად მკაცრი კაცია, განაცხადა მთელ ქვეყნის კაპიტალისტურ პრესისათვის თავისი ზიზღი. მის სიცოცხლესა და თავისუფლებას ხშირად ემუქრებოდნენ ამ უკანასკნელ თვეებში. იგი იდეალისტია, მაგრამ შეუდრეკელი ნებით ხელს მიჰკიდებს ყოველგვარ საშუალებას, რომ თავის მიზანს მიაღწიოს. მას აქვს პრუსიული შეუდრეკელი ხასიათი და მზად არის მკვლელობაც ჩაიდინოს, თუ კი ეს საჭირო იქნება. რევოლიუციონური ბრძოლის ამ 15 თვემ სრულებით გაანადგურა გერმანიის ეკონომიური ცხოვრებაო სთქვა მან. ძველი წყობილებიდან არაფერი აღარ შეესაბამება დროს, აღორძინების არც ერთი ძველი ზომა აღარ ვარგა ჩვენ საქმეთა გასაჯანსაღებლათ. ებერტისა და შეიდემანის კოალიციურმა მთავრობამ გამოიჩინა მთელი თავისი საპრალო სუსტი, როგორც ეს ჩვენ წინდაწინვე ვიცოდით. მან ვერავითარ შემთხვევაში ვერ შესძლო მდგომარეობისათვის თავი გაერთვა კაპისა და ლიუტვიცის აჯანყება შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ებერტის მთავრობა სუსტი იყო და იგი უძლური გამოჩნდა მომჭიფებულ მონარქიულ მილიტარისტულ რეაქციის წინაშეც კი. იგი გაიქცა, მარტო მუშათა სოლიდარობამ შესძლო კაპისა და ფონ ლიუტვიცის რევოლიუციის დამხობა. ეხლა ჩვენი ვალია ვიზრუნოთ იმაზე, რომ ებერტის მთავრობა შეიცვალოს ხალხისა და ქვეყნის სოციალური ეკონომიურ განვითარების მთავრობით. დამოუკიდებელ სოციალისტთა პარტია და მუშათა უმეტესობა ნდობა არ უცხადებს ბურჟუაზიულ კოალიციას.

**გერმანიის მთავრობის მოლაპარაკება ნეიტრალ ზონაში ჯარების შესაყვანად**

საფრანგეთის გაზეთები საინტერესო ცნობებს იძლევა იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც დაიწყო გერმანიის მთავრობამ ნეიტრალურ ზონაში ჯარის შესაყვანათ. ეს თხოვნა მიმართული იყო ბაუერის კაბინეტის მიერ ანტანტის ყველა მთავრობების მიმართ. მილიერანმა მოითხოვა გარანტიები, რომელშიც უნდა შესულიყო გერმანიის სხვა ტერიტორიების ოკუპაცია. ეს მოთხოვნილება გადაეცა ბერლინში და ორშაბათს საქმეების რწმუნებული მაიერი და საზავო კონფერენციის გერმანულ დელეგაციის თავმჯდომარე გეპერტი მივიდა მილიერანთან და საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივან პალეოლოგთან, რომ თავისი მთავრობის უარყოფითი პასუხი გადაეცა საფრანგეთის წინადადებაზე თუ ამ შემთხვევაში, სწერს „პტი პარიზიენი" საფრანგეთმა დაიჭირა პოზიცია განსხვავებული იმისა, რომელიც მისაღები იყო ინგლისისა და იტალიისათვის. ეს მხოლოდ იმისთვის, რომ გარდა უფლებისა, რომელიც საფრანგეთს ხელშეკრულებამ მისცა. მასზე კიდევ ის ვალდებულებაა, რომელიც გამომდინარეობს გერმანიასთან მის განსაკუთრებულ დამოკიდებულებიდან. რურში მდგომარეობა არ შეცვლილა, მოლაპარაკება გრძელდება. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ გერმანიის მთავრობა მეტ ალილებას გამოსთქვამს მილიტარისტებისა, ვიდრე ბოლშევიკების მიმართ.

**თბილისში მყოფ იტალიის პოლიტიკურ სააგენტოს რადიო ცნობა**

**ბერლინი.** მარტის 23. ღამემ და ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. გაზეთები არ გამოდის. გარდატეხის მომწყობნი მიიმალნენ, როგორც კი შეატყვეს, რომ საქმეს აგებენ. გამოიცა ბრძანება ფონ-კაპპ ს, გენ. ლიუდენდორფს და გადატრიალების სხვა მეთაურთა დაპატიმრების შესახებ.

# უცხოეთი

## აზერბაიჯანი

**სულთანოვის და მისი თანაშემწეების დატყვევება.**

გაზ. „აზხალოვორ"-ში ვკითხულობთ, „ჩვენი ბაქოელი კორესპოდენტი გვატყობინებს: "ქალაქში დაჟინებით ხმა დადის, რომ უკანასკნელი ბრძოლის დროს სომხების მიერ ტყვეთ არის წაყვანილი საერთო გუბერნატორი დოქტორი სულთანოვი, შუშისა და ხანქენდის უფროსები ყველა თავიანთი დამქაშებით.

მთავრობა გაცხარებით თავს უყრის ჯარებს ყარაბაღისა და ზანგეზურის წინააღმდეგ საერთო სამარ მოქმედების დასაწყებად.

ჯარის მთავარ სარდლად არის დანიშნული გენერალი შეხმონდაროვი. ჯარებში ემჩნევა დიდძალი დეზერტირობა. სულიერი განწყობილება დაცემულია. ითთიჰადი და მუსავატი ლაბულობენ ზომებს, რომ აღელვონ მასსათა ბნელი ინსტიქტები. სომხების მდგომარეობა, მეტადრე განჯაში, სასოწარკვეთილია, დღე დღეზე ელიან ჟლეტას. საჭიროა სასტიკი ზომების მიღება მათი სიცოცხლის და ქონების დასაცველად".

**კოალიციური სამინისტრო აზერბაიჯანში.**

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ პარტიათა განწყობილებაში მოხდა გარდატეხა და გამოირკვა, რომ სრულიად შესაძლებელია კოალიციური მთავრობის შედგენა სოციალისტებისა და ითთიჰადელების მონაწილეობით, ქვეყნის ბოლშევიკებისაგან დაცვის მიზნით. („აზხ".)

**ბანკეტი საქ. საგ. საქ. მინისტრის ეგ. გეგეჭკორის პატივსაცემად**

მარტის 28 ს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოაწყო ბანკეტი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ეგ. გეგეჭკორის პატივსაცემად.

ბანკეტს დაესწრენ: მთავრობის სრული შემადგენლობა, პრემიერ ნ. ბ. უსუბეკოვის მეთაურობით წევრები და პრეზიდიუმი პარლამენტისა, მ. ჯაფაროვის მეთაურობით, ქართული მისია გ. ალშიბაიას მეთაურობით. სპარსეთის დელეგაციის თავმჯდომარე ს. ბ. ტაბა ტ. ბაის და სხ: ბანკეტის თამადად იქმნა არჩეული ა. ბ. საფიქიურსკი. ბანკეტს ჰქონდა გულთბილი ხასიათი და ნაშუაღამევის გასტანა.

**პოლონეთის მისსია**

აზერბაიჯნის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა კონსტანტინეპოლში მყოფ აზერბაიჯნის დიპლომატიურ წარმომადგენლისაგან მიიღო შემდეგი ცნობა პოლონეთის მთავრობის დელეგაციისა ბრწყინვალე პორტასთან.

„მაქვს პატივი გაუწყოთ თქვენ შინაარსი ვარშავიდან საგარეო საქმეთა მინისტრის ტელეგრამისა:

ვარშავა,—თებერვლის 14. მოკლე ხანში თბილისს ჩამოვა საგანგებო მისსია პოლონეთის მთავრობის წარმომადგენლობის მიზნით აზერბაიჯნისა საქართველოსა და სომხეთის მთავრობასთან. მისი შემადგენლობა ასეთია: რწმუნებული მინისტრი, ტიტუს ფილიპპოვიჩი, მისიის მეთაური, საგ. საქ. ყოფილი მინისტრი; ბ. ბონდი—მისიის მდივანი, ბ. ბიალომრეცკი—კონსული; პროფეს სმოგოსტრევსკი—მისიის მრჩეველი ნ. ბ. კაპ. ვეზლიკი—სამხედრო ატტაშე.

მისიის მიზანია პოლიტიკურ და სავაჭრო ურთიერთობის დაჭერა პოლონეთისა და ხსენებულ სახელმწიფოთა შორის. მისიის საქმეებში სხვათა შორის შედის საელჩო სამსახურის ორგანიზაცია და პოლონელ მოქალაქეთა სამშობლოში დაბრუნების საკითხი.

ვიმედოვნებ, რომ ამ მისიის გამოგზავნა არის დადასტურება ჩემი მთავრობისგან თვისი მეგობრულ განწყობილებისა თქვენ ქვეყანასთან, რაც უფრო მტკიცე კავშირად შეიკვრება.

მიიღეთ, თქვენო უმაღლესობავ, ულრმესი ჩემი პატივისცემა.

ბრწყინვალე პორტსთან პოლონეთის მთავრობის დელეგატი ღ—რ

**ვ. იოდკო**

## სომხეთი

**სომხეთის საზღვრების შესახებ.**

„ტაიმს"-ის 23 თებერვლის ნომერში დაბეჭდილია: უმაღლეს საბჭოს მიერ სომხეთის საზღვრების გამოსარკვევად არჩეულმა კომისიამ თებერვლის 21 მოახდინა სხდომა საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში. დაესწრენ აგრეთვე სომხეთის დელეგატთაგან ბ. ბ. ა. აჰარონიანი, პოღოს ნუბარი, გენერალი ყორღანიანი და მაქლამი.

ბოლოს ნუბარ-ბაშა ხანგრძლივ და დაწვრილებითი ლაპარაკის შემდეგ მოითხოვა, რომ სამართლიან საფუძვლებზე იქმნან გამორკვეულნი სომხეთის საზღვრები. საზოგადოდ აღნიშნა რა სომხეთისათვის წადგენილი საზღვრები მოითხოვა შავ ზღვაზე ნავთსადგურის ქონება

საფრანგეთის წარმომადგენელი საგარეო საქმეთა მხრით შ. ქამერი.

**მიმართვა კონფერენციის თავმჯდომარისადმი.**

სომხეთის რესპუბლიკის დელეგაციის თავმჯდომარემ ა. აჰარონიანმა, კილიკიაში ახლად მომხდარ ბოროტებისა გამო წერილობით მიმართა საზავო კონფერენციის თავმჯდომარეს და მოკავშირეთა მთავრობებს.

მოჰყავს რა ჰმილებული დეპეშა, წერილით დასძენს:

„ომის შეწყვეტის ხუთმეტი თვის შემდეგ, ღრმა მწუხარებით ვტყობილობთ სომეხთა ახალი ჟლეტის ამბავს.

მოკავშირე სახელმწიფოთა მომლოდინე მდგომარეობამ წამქეზებელი სამსახური გაუწია ბარბაროსებს, რომლებმაც გაბედეს თავიანთი გამანადგურებელი მოქმედების გადატანა იმ ქვეყანაში, სადაც სომხის ხალხი, მოკავშირეების ძალთა მფარველობის ქვეშ, გრძნობდა თავის თავს, სრულად უზრუნველ-ყოფილად. კილიკიაში დარჩენილ სომხის ხალხი მეტად საშიშო მდგომარეობაშია.

ერთხელ კიდევ დაბეჯითებით ვთხოვთ მოკავშირეთა მთავრობებს, მიიღონ გადაწყვეტილი ზომები, რათა ბოლო მოეღოს მუსთაფა ქემალის მიერ მოწყობილ და ოსმალეთის მთავრობის მონაწილეობით წარმოებულს აწიოკებას.

უმორჩილესად ვთხოვთ მათ, რათა მისცენ კილიკიელ ძმებს მათ მიერ ნათხოვნი თავდაცვის საშუალებანი, რაც ჩვენც არა ერთხელ გვითხოვნია.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მოკავშირენი ყურად იღებენ სომხის ხალხის სახელით მათდამი მიმართულს ამ მოწოდებას და შესაძლებელს გახდიან ამ ახალი უბედურობის შეჩერებას.

## მ თ ა

**დარუბანდი მთიელთა ხელშია**

აზერბაიჯანში მყოფი „ჩრდილო-კავკასიის დაცვის საბჭოს" წარმომადგენლის საინფორმაციო განყოფილება იტყობინება:

მარტის 24-25 ღამით, საათის 4-ზე ჩვენი ჯართა ნაწილები დაეცნენ დარუბანდთან მტრის სიმაგრეებს. 3 საათის ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარებმა დაიპყრეს ქალაქი. ქალაქის დამცველი მოხალისეთა ჯარის ერთი ნაწილი გადმოვიდა ჩვენსკენ, ხოლო მეორე ნაწილი ტყვედ იქნა წაყვანილი რადგან უკან დასახევი გზები შეკრული იყო და გემებიც არ იყვნენ. მხოლოდ მოხალისეთა მცირე ნაწილი გაიქცა ზღვით, მთიელთა ცხენოსანი ჯარი სდევნის მათ. ავიღეთ დიდძალი ნადავლი თოფები, ვაზნები, ტყვიის მფრქვეველები, ზარბაზნები, ამუნიცია, ტანისამოსი და სხვა.

## ჩრდილო-კავკასია

**ყუბანის მთავრობა გაგრაში.**

ეხლახანს მიღებულია სარწმუნო წყაროებიდან ცნობები, რომ ყუბანის მთავრობა ივანისის მეთაურობით გაგრაში იმყოფება.

ყუბანის ჯარმა, რომელიც ტუაპსეს მიმართულებით იხევდა ადვილად დაამარცხა გლეხთა ლაშქარი და ტუაპსე აიღო. ტუაპსეში დაბინავდა რადა, უმაღლეს «კრუგის» ფრაქცია და მთავრობა. შავი ზღვის სანაპიროს განმათავისუფლებელ კომიტეტის ცნობა, თითქოს მოხალისეებმა ტუაპსე დასტოვეს, შეეხება ალბად იმ გარემოებას, რომ ყუბანის მთავრობის წევრები ძვირფას ნივთებით გაგრისაკენ წავიდნენ სადაც ეხლაც იმყოფებიან.

**ტუაპსის სანახებში.**

ტუაპსის სანახებში სასტიკი ბრძოლებია. ყუბანის ჯარს ორის მიმართულებით აქვს ფრონტი: სამხრეთით —ლაზარევკის ახლო ებრძვის შავი ზღვის სანაპიროს ლაშქარს: ჩრდილოეთით ჰელენჯიკის სამხრეთით თავს იცავს მწვანე და წითელ არმიელთა შეერთებულ ჯარებისაგან. სამხრეთისაკენ ის შეტევით ბრძოლას აწარმოებს. ბრძოლებს სასტიკი და სისხლის მღვრელი ხასიათი აქვს.

**კამკამი.**

უკან დახეული მოხალისეთა რაზმებთან ერთად საქართველოს სამხედრო გზით უკან იხევს ყაბარდოს ყოფილი

გამგე თავადი ბეკოვიჩ ჩერკასკი ყაბარდოელთა დივიზიასთან ერთად.

უკან იხევს ოსეთის გამგე გენ. ხაბაევი ორას ერთგულ დიგორელთა თანხლებით.

უკან იხევს კალმიკთა ის ნაწილები, რომელნიც ასტრახანის ფრონტიდან მოვიდნენ.

## რუსეთი

**ბოლშევიკების სხვ. ცნობა.**

**მოსკოვი.** 30. მარ. (ც. ა. კ. ბ. ბიულეტენი.

**სამხედრო ცნობა.** სამხრეთის ფრონტი. პოდოლის კამენეცის რაიონში ჩვენმა ჯარმა ქალ. ენსის სამხრეთით 10—20 ვერსზე სოფლები დაიჭ. დანარჩენ ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა.

**კავკასიის ფრონტი.**

ნოვოროსისკის რაიონში ჩვენი ჯარი ტელენჯიკის სამხრეთით შავი ზღვის ნაპირზე გამოვიდა, მაიკოპის რაიონში ტუაპსის რკინის გზაზე ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა და წინ მიიწევს. პეტროვსკის მიმართულებით ჩვენ მდ. სულაკს მივაღწიეთ.

## უკრაინა

**მდგომარეობა უკრაინაში.**

უკრაინიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ, რომ საბჭოთა ჯარები ახლა მეამბოხეებთან ბრძოლას უხდებიან. მახნოს, შუბის ბლიზნიუკის და სხვათა რაზმები ჰქმნიან მუქარას საბჭოთა წინააღმდეგ. ამავე დროს დირექტორიის არმია აივსო გალიციელ „სიჩევიკებით" რომელნიც რამდენიმე ხნით გენ. დრაგომიროვის არმიაში იმყოფებოდნენ.

იგი მოქმედობს კონტაქტით პოლონეთის არმიასთან და მათი მოქმედება სასტიკად შეთანხმებულია. დირექტორიის მხრივ არავითარი ცდა არ ყოფილა მოლაპარაკების წარმოებისა საბჭოთა მთავრობასთან ან დონარმიასთან. არმიის საერთო ხელმძღვანელობა ეკუთნით პეტლიურას და გენ. ომელიანოვიჩ პავლენკოს. ანანიევის სანახებში ოპერაციებს აწარმოებს გენ. ტიუტიუნიკი ხოლო უმანის რაიონში პოლკ. შეპელი.

## დანია

**პოლიტიკური კრიზისი დანიაში.**

(საქ. დეპ. სააგ.)

დანიაში პოლიტიკური კრიზისი მწვავდება. 29 მარტს მეფემ საბჭოს თავმჯდომარეს ზალეს წინადადება მისცა, რომ იგი გადამდგარიყო. როდესაც თავმჯდომარემ უარით უპასუხა მეფემ დეკრეტით გაუშვა მთელი კაბინეტი. მეფემ საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს მსერგარდს საქმიანი კაბინეტის შედგენა დაავალა. ლიბერალური და სოციალისტური პარტიები საერთო გაფიცვის პასუხით იმუქრებიან.

## ოსმალეთი

**ზავის პირობების გარშემო**

„ჰავას"-ის მიერ მოცემული ცნობების მიხედვით, უმაღლეს საბჭოს განუხილავს უკვე ოსმალეთთან შესაკვრელი ზავის შესახებ კომისიების მიერ წარმოდგენილი ბიულეტენები.

მთავარი მუხლები ოსმალეთთან შესაკვრელი ზავისა უკვე მზად არიან. მიღებულ ცნობების მიხედვით, უნდა შესდგეს კომისია, საფრანგეთის, იტალიის და ინგლისის დელეგატთაგან, რომელიც ჩაითვლება ოფიციალურ კომისიად და დაიგზავნება ოსმალეთში, რეფორმების მოსახდენად.

სომხეთის საკითხს განიხილავს ერთა ვნებათა კავშირი. ჯერ განხილული არ არიან ოსმალეთის განიარაღების, მის მიერ გადახდილი კონტრიბუციის და უმცირესობათა დაცვის შესახებ მუხლები.

## ამერიკა

**სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა რუსეთთან.**

რეველში მოვიდა ამერიკის განსაკუთრებული კომისია, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის პირობებთან გასაცნობად. („ტაიმსი").

## გერმანია

**ვაჭრობა ინგლისთან.**

1918 წლის განმავლობაში გერმანიიდან გაუტანიათ ინგლისში სხვა და სხვა საქონელი ერთი მილ. გირვანქა სტერლინგისა. ამავე წლის განმავლობაში გერმანიამ შემოიტანა ინგლისური საქონელი 14.650,000 გირვანქა სტერლინგისა. („ტაიმსი").

## იაპონია

**მრეწველობის განვითარება**

იმის დასახასიათებლად, თუ როგორ საშურნელო ალორძინებას და განვითარებას განიცდის იაპონია, საკმარისია ის ფაქტიც, რომ მარტო მანქანები ბამბის დასამუშავებლად იაპონიას გამოუტანია ინგლისიდან 1919 წ. ერთი მილ. გირვანქა სტერლინგზე მეტი.

## ელჩთა კონფერენცია

(საქ. დეპ. სააგ.)

ლონდონში ელჩთა კონფერენციამ ლორდ კერზონის თავმჯდომარეობით დაიწყო ოსმალეთთან ეკონომიურ პირობებზე თათბირი. განიხილეს აგრეთვე სრუტეების და მარმარილოს ზღვის მართველობის საკითხი.

## შავი ზღვის სანაპირო

(გლეხთა ჯარების მარტის 25-ს ცნობა)

დაზვერვამ შემდეგი ცნობები მოგვიტანა: საბჭოთა ჯარები იდიუკეს მიუახლოვდა, ტუაპსეში სრული ანარქიაა. მოხალისეთა რაზმები ოთხ გემით ზღვაზე გავიდა. ლაზარევის ფრონტზე სიწყნარეა.

# ახალი ამბები

## სამინისტროებში.

**შიმშილობა ნეიტრალურ ზონაში**

ნეიტრალურ ზონის კომისარი იუწყება, რომ ალავერდში, შამბულგში, ბენდიკში და ახტალაში შიმშილობამ იქამდის მიაღწია, რომ არის შემთხვევები შიმშილით სიკვდილისა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებულია ზომები ამ მოვლენის აღსალაგმავად.

**მოსალოდნელ წყალდიდობის გამო**

ვინაიდან მოსალოდნელია დიდი წყალდიდობა თბილისსა და მის მიდამოებში, ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა მაზრის კომისრებს, რათა თბ. ქალაქის თვითმართველობას მიაწოდონ ყოველ დღე დეპეშით ცნობები მდინარე მტკვრის, ლიახვის და არაგვის საპაველების ადიდების შესახებ.

**ტუსაღების შეპყრობა**

ზუგდიდის მილიციის მიერ მიღებულ ზომებით ხანგრძლივი სროლის შემდეგ სოფ. ყულევ-კარში მოკლულ იქმნა ერთი პატიმართაგანი, მექი როჟავა, რომელიც ზუგდიდის ციხიდან გაიქცა ამას წინად. შეპყრობილია კიდევ სამი პატიმარი და სოფლის კომისარის და მილიციონერის მკვლელები მეხია და კუჭავა ორი ტუსაღთაგანი თავის ნებით გამოცხადდა.

**სტაროსელსკის ნივთების ჩუმი გაზიდვა თბილისში**

საგურამოს თემის განკარგულებით აკრძალა ანდრია გიგის ძე სტაროსელსკის მოურავს გაეტანოს რამე საოჯახო ნივთი ამ ბინიდან. ეს ნივთები გაჰქონდა მოურავს სტაროსელსკის განკარგულებით თბილისში.

შინაგან საქმეთა კანცელარია ავალებს დუშეთის სამაზრო ერობას წარმოადგინოს დაწვრილებითი ცნობები ამ საქმის შესახებ.

## სხვა და სხვა ამბები

**სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომ სტუდენტთა კრება.**

ხუთშაბათს, აპრილის 1-ს, საღამოს 7-ნახევარ საათზე, ქიმიის აუდიტორიაში დანიშნულია სახ. უნივ. აგრონომიულ დარგის სამივე კურსის სტუდენტთა საერთო არა-ჩვეულებრივი კრება ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის განსახილველად.

**შემოწირულება.**

გორში დაზარალებულთათვის სოფ. წყნეთის მცხოვრებმა შესწირეს 725 მ., სოფ. ნახშირ გორის მცხოვრ. 260 მ. და სოფ. წყნეთის სკოლამ 100 მ., რომელიც გადაეცა გარე-კახეთის საერობო თემის გამგეობას გასაგზავნად.

**დახმარება მუსიკალურ საზოგადოებას.**

საქართველოს კოოპერატივთა კავშირმა ქართულ მუსიკალურ საზოგადოებას აღმოუჩინა 500,000 მ.

**ახალი გაზეთი.**

ამ დღეებში დახურულ გაზ. „კომუნისტი"-ს ნაცვლად გამოვიდა გაზ. „გრუზია"-ს № 1.

**ჟურნალისტების კრება.**

დღეს საღამოს 6 ს. ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში შესდგება ჟურნალისტების კრება, პროფესიონალურ კავშირის დასაარსებლად.

**ყულაბებით ფულის შეკრება რუს ლტოლვილთათვის.**

1 აპრილს ქ. თბილისში მოხდება ყულაბებით ფულის შეკრება ჩრდილოკავკასიიდან გამოქცეულ რუს ლტოლვილების სასარგებლოდ.

**ანკეტა შემოდგომის ნათესის მდგომარეობის და სურსათის რაოდენობის გამოსარკვევად.**

ცენტრალურმა სტატისტიკურ კომიტეტმა შეიმუშავა შემოდგომის ნათესის მდგომარეობის სურსათ სანოვაგის რაოდენობის და სხვა და სხვა საგნებზე ადგილობრივი ფასების გამოსარკვევი ვრცელი ანკეტა. და დაგზავნა მაზრის ერობებს თემებს და მოხალისე კორესპონდენტებს სულ დაგზავნილი იქმნა 5000-დე ანკეტა რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებში. ზოგიერთ მაზრებიდან და განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოდან უკვე მიიღეს შევსებული ანკეტები, რომლებიც ასურათებს მაზრების მდგომარეობას. სხვა მაზრებიდან პასუხს აგვიანებენ. ვინაიდან ეს გამოკვლევა არის საჩქაროთ და აქვს დიდი მნიშვნელობა ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტი დაჟინებით თხოვს მაზრის ერობებს თემებს და მოხალისე კორესპონდენტებს რომელთაც ჯერ არ გამოუგზავნიათ შევსებული ანკეტები დააჩქარონ ანკეტების დაბრუნება.

**წყალი.**

უკვე ერთი კვირაა, რაც ქალაქში მღვრიანი სასმელი წყალი მოდის. ამის მიზეზი ის არის, რომ ავჭალის წყალსადენზე გაფუჭებულა ბუზებიდან წყლის დასაწმენდ ფილტრებში გაყვანილი მილები და აგრეთვე შიგნის სიმცირე. ქალაქის თვითმმართველობის სატექნიკო ნაწილმა უკვე მიიღო ზომები მილების შესაკეთებლად. აზერბეიჯანში სად. ტფუზზე შეძენილია აგრეთვე საჭირო რაოდენობის შაბი. ამ ერთ კვირაში იმედი აქვთ მილები შეაკეთონ და ქალაქს კარგი დასალევი წყალი მიაწოდონ.

**პლაცკარტებზე ფასის მომატება.**

რკ. გზის უფროსის დეპეშა 30 მარტს.

1 აპრილიდან თბილისს და ბათომს შორის ჩქარ მატარებლებში № 1 და 2 პლაცკარტების (ორი ორი ადგილი დიდ მდივნებზე) ფასი შემდეგია: 1 კლ.— 300 მან. 2 კლ. 200 მან. 3 კლ. 100 მან. თბილისიდან შორაპნამდის და შორაპნიდან ბათუმამდის პლაცკარტი ეღირება: 1 კლ. 180 მან., 2 კლ. 120 მან. და 3 კლ. 60 მან. სწრაფ მატარებლებში ბათომიდან სალოლამდის (სამ სამი ადგილი დიდ მდივნებზე) 1 და 2 კლ. ას ასი მანეთი, 3 კლ. 50 მან. იმავე მატარებლებში №№ 5 და 6 პირდაპირ მიმოსვლაში (სამ სამი ადგილი) ბათომიდან ბაქომდის დაუკნეთ 1 და 2 კლ. 80 მან. და 3 კლ. 40 მან. აზერბაიჯანის რკ. გზასთან მატარებლების და 6 ჯერ არ შეუთანხმებულვართ.

**ლტოლვილნი ჩრდილო-კავკასიიდან**

30 მარტს მცხეთიდან ფოთში გაიგზავნა 37 ვაგონი —1290 კაცი, 31 მარტისთვის მიცემულია გადასაყვანად 53 ვაგონი.

**დაშავება**

30 მარტს, როდესაც ლტოლვილებს ჰგზავნიდნენ მატარებლებით, ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები გიორგი ხავსაბავსკი ვაგონს ქვეშ ჩავარდა. მატარებელმა ორივე ფეხები დააჭრა.

**კახელ მევენახეთა საბჭოში.**

კახელ მევენახეთა და მეღვინეობის საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ანდრონიკაშვილმა შეადგინა საკანონო პროექტი საბჭოს მოქმედების შესახებ.

— კვირას, 3 აპრილს, საბჭოს სხდომაზე დანიშნულია საგანგებო სხდომა ამერიკას ვაზის შესახებ და საგანგებო ყრილობის მოწვევის შესახებ.

— საბჭოს მიერ შემუშავებული მოხსენება ღვინის ბოჭკებზე გადასახადის (ვედროზე 40 მანეთი) გაუქმების შესახებ ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა მოიწონა.

**ე. გეგეჭკორის დაბრუნება.**

მარტის 30 ს ბაქოდან თბილის დაბრუნდა საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი.

**ცვლილება სომხეთის კაბინეტში.**

ერევნიდან სომხეთის მისსიას საქართველოში ატყობინებენ, რომ მთავრობის შემადგენლობას ცვლილება მოხდა. გარეშე საქმეთა მინისტრად დაინიშნა ამო. ოგ. ჯანიანი, ყოფილი მზრუნველობის მინისტრი ამიერ კავკასიის კომისარიატში და წევრი პარიზის დელეგაციისა.

**ლტოლვილები ქუთაისში.**

ქუთაისიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქის მოურავის ამხანაგობის რობაქიძისაგან დეპეშა მოუვიდა, სადაც იტყობინებიან, რომ აურაცხელი ლტოლვილები მოაწყდნენ ქუთაისს, არიან ყუბანელები, პოლონელები, სომხები უკრაინელები და სპარსელები და სხვა. ზოგი მათგანი ჯერ ჯერობით დაბანაკებულია ქუთაისში, ზოგი კი ითხოვს სხვა და სხვა ქალაქებში გაშვებას თავიანთ კონსულებთან მოსალაპარაკებლად. სურსათის უქონლობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიან, ქალაქს კი არა აქვს საშუალება დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნილებები.

## მუნიციპალური ცხოვრება

**ქალაქის 1920 წ. ხარჯთ აღრიცხვა.**

ქალაქის გამგეობა საჩქაროდ იმუშავებს 1920 წლის ხარჯ აღრიცხვას. მასალები თითქმის უკვე შეგროვილია და ამ ჟამად სწარმოებს შესავალ გასავლის შედარება. განზრახულია ხარჯთ აღრიცხვის პროექტი საბჭოს გადაეცეს აპრილის შუა რიცხვებში.

**ქალთა მერა კერვის სკოლის შუამდგომლობა.**

ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის თვითმართველობის წინაშე რათა ხსენებულ საზოგადოების მერაკერვის სკოლა გაბაანაა შესახვეში ქალაქმა თავის გამგებლობაში მიიღოს. ქალაქის გამგეობამ ჯერ ჯერობით შეუძლებლად სცნო ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება, უმთავრესად იმის გამო, რომ ხსენებულ სკოლას მეტად ცუდი ბინა აქვს ხოლო ახალი ბინის შოვნა ამ სკოლისთვის კი ამ ჟამად მეტად ძნელია.

**ზომები სანოვაგის გადამალვის წინააღმდეგ.**

ქალაქის მოურავმა ბ. გ. ხიმკვიშვილმა სწრაფი განკარგულება გასცა გამგეობასთან არსებულ სავაჭრო-სასურსათო ზედამხედველობის სახელზე, რათა განსაკუთრებული ყურადღება ექციოს ხორცის და საზ. პირველ-მოთხოვნილების სანოვაგის გადამალვის წინააღმდეგ. იმავე განკარგულებით, —ზედამხედველობის გამგეს ევალება დაუყოვნებლივ აცნობოს ქალაქის მოურავს ყველა შემთხვევა ამ ნიშნულ სანოვაგის გადამალვისა, რათა აღმოჩენილი სანოვაგე გაყიდულ იქნას მცხოვრებლებზე იმის ნახევ რათ რაც ნაჩვენებია ნიხრში.

**ყასბების დაპატიმრება.**

ნიხრზე ზევით ხორცის გაყიდვისთვის ამ დღეებში ქალაქის სავაჭრო სასურსათო ზედამხედველობამ ბევრ წვრილ ყასაბს ოქმი შეუდგინა რის შემდეგაც ბაზარზე ხორცი გაქრა. ამის მიზეზად ყასბებმა განაცხადეს რომ ნიხრზე ხორცის გაყიდვა მათ არ შეუძლიანთ, რადგან ეგეთონაც ძვირად ყიდულობენ ხორცს მსხვილ ყასბებისგან. ამის საპასუხოდ ქალაქმა სასტიკ ზომებს მიმართა და რამდენიმე ყასაბი დააპატიმრა.

## სამხატვრო ქრონიკა

**მწერალთა კრება.** პარასკევს 2 აპრილს საღამოს 7 საათზე სასტუმრო „კავკაზ"-ში № 1 (ერევნის მოედან) დანიშნულია კრება „ცისფერი ყანწები"-ს ჯგუფის პოეტების. კრებას დაესწრებიან ის მწერლები, რომელნიც თანაუგრძნობენ ახალ პოეზიას. განსახილველია მწერალთა კონფერენციის საკითხი.

## თელავი

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

**„კახეთის" წევრთა კრება**

28 მარტს გახსნილ თელავში კახელ მევენახეთა საზ—ბა „კახეთის" წევრთა წლიური კრება დაიწყო. 29 მარტს კრებამ მრავალი საგულისხმო დადგენილება გამოიტანა, რომელსაც ცალკე წერილით გაცნობებთ. სხვათა შორის დაადგინეს:

**დახმარება გორს**

კრებამ დაადგინა გადიდოს გორის მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ 120 ვედრო ღვინო დაახლოვებით 7200 მანეთის ღირებულისა.

**არჩევნები:**

დასასრულ მოხდა არჩევნები. გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნა ლევან სიხარულიძე და გოგლა გულაშვილი. საბჭოს წევრებად ა. ტულიაშვილი ვ. კახიძე. სარევიზიო კომისიის წევრებად ათ. ჭუმბაძე ლი, გ. მათიაშვილი და ზ. კვითელაშვილი

**კომპოზიტორი სულხანიშვილის ნაწარმოები.**

კრებამ დაადგინა ერთხმად გამოსცეს განსვენებულ კომპოზიტორ სულხანიშვილის მთელი ნაწარმოებნი თავის ხარჯით.

## ბათომი

**ერივნულ საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა.**

მარტის 18-ს, ინგლისურ მმართველობის ნებართვით ბათომში შესდგა ოლქის ყველა სოფლების წარმომადგენელთა ყრილობა ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმის ახალ წევრების ასარჩევად. თავმჯდომარედ ალი-ჰაიდარ ჯაფარიძის მაგიერ ჰუსეინ-ბეგ ბიბინეიშვილი აირჩიეს, თავმჯდომარის ამხანაგად მუჰამედ ბეი აბაშიძე-ზადე და ჰაჯი-ალი-ეფენდი მაყაშვილი.

**გენ. ლიახოვის ჩამოსვლა.**

ბათომში ჩამოვიდნენ სამხედრო გუბერნატორის ლიახოვის ყოფილი ამხანაგი ლიახოვი და ეპ. პავლე, ელისავეტპოლის ეპისკოპოზად დანიშნული.

**მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილება.**

ბათომში იხსნება მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილება.

— ამ დღეებში გამოქვეყნდება ბათომის აღწერის შედეგები.

— საქართველოს მთავრობამ ნება დართო ს. ორთაბათომის, კოროლისთავის, აგარასა და კაპრეშუმის მცხოვრებთ შეისყიდონ ტფხზეთში თავიანთ საჭიროებისთვის ათასი ფუთი სიმინდის ფქვილი.

## ქალაქის საბჭოში

**მარტის 29 ის სხდომა.**

სხდომა იწყება 9 ს. და 5 წ. თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

თავმჯდომარე საბჭოს მოახსენებს, რომ წინა სხდომაზე მიღებული დადგენილება თბილისში საფუთო გადასახადის შემოღების შესახებ ვერ განხორციელდება, რადგან ასეთი საკითხის გადაწყვეტის დროს სხდომას უნდა დაესწროს ხმოსანთა საერთო რიცხვის 2/3, ხოლო წინა სხდომაზე კი დაესწრო სულ 45 ხმოსანი.

საბჭო ადგენს საკითხი ხელმეორედ იქმნას განხილული.

**ქალაქის ლომბარდი**

გამგეობის წევრი გ. შოთაძე მოახსენებს საბჭოს ქალაქის ლომბარდის კრიტიკულ მდგომარეობას, რომლის გამოსასწორებლადაც საჭიროდ სცნობს 2 მილიონ მანეთის სესხის აღებას მთავრობისგან ლომბარდის საბრუნავ თანხების გასაძლიერებლად

ხმ. კ. აფხაზი. (ეპარტიო). საკმარისად არ სთვლის ამ თანხას ქალაქის ლომბარდის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მოითხოვს აღებულ იქმნას 4 მილიონ მანეთის სესხი, ხოლო რადგან სესხის აღება დაგვიანდება, ლომბარდისთვის საჭირო ფული დროებით გაღებულ იქმნას სხვა წყაროდან.

საბჭო ადგენს აღებულ იქმნას ლომბარდისთვის 2 მილიონ მანეთის სესხი და გამოსთქვამს სურვილს, შეძლების დაგვარად სესხის აღებამდე ლომბარდს მიეცეს საჭირო ფული.

**ტანისამოსი მილიციის მაღალ თანამდებობის პირთათვის.**

საბჭო ადგენს ქალაქის ხარჯით მიეცეთ ტანისამოსი აგრეთვე მილიციის უფროსს, სისხლის სამართლის მილიციის უფროსს ყველა კომისრებს და მათ თანაშემწეთ. რისთვისაც მიმდინარე წელს გადაიდოს 267,000 მან.

**დახმარება ქალთა მერაკერვის სკოლას.**

საბჭო ადგენს 5000 მან. მიეცეს დახმარების სახით ქართველ ქალთა საზოგადოების მერა-კერვის სკოლას.

**დახმარება უმაღლეს საინჟინერო კურსებს.**

საბჭო ადგენს 50,000 მან. მიეცეს დახმარების სახით. თბილისის კერძო უმაღლეს საინჟინერო კურსებს.

**დახმარება ქართულ მუსიკალურ სასწავლებელს.**

საბჭო ადგენს 50,000 მან. მიეცეს დახმარების სახით ქართულ მუსიკალურ სასწავლებელს.

**უქმე დღე ებრაელ და მაჰმადიან ვაჭრებისთვის.**

გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი (ს. დ.) მოახსენებს საბჭოს, რომ საკითხი არა ქრისტიან ვაჭარ ნოქართათვის კვირაში ერთი უქმე დღის შესახებ ამას წინად იყო განხილული ქალაქის საბჭოში და ეს საკითხი გადაიდო, რათა სხვა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელნი შეთანხმებულიყვნენ ამ საკითხზე, მას შემდეგ მოხდა თათბირი გამგეობის შრომის სამინისტროს და პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენელთა შორის, მაგრამ შეთანხმება ვერ მოხდა.

საბჭოს სოც.-დემ. ფრაქცია საჭიროდ სცნობს კვირაში ერთი უქმე დღე სავალდებულო იყოს ყველასთვის, რათა ამ დღეს ყველა სარწმუნოების და ეროვნების მუშებს საშუალება ჰქონდეთ, ერთმანეთთან შეხვედრისა და სოლიდარობის განმტკიცებისათვის და ასეთ დღეთ მიჩნეული იყოს კვირა დღე.

**ხმ მზარეულოვი.** (ახლის პატრ. კავშირი) ამბობს, რომ ეს ერთგვარი ძალდობა იქნება არა ქრისტიანებზე და მოითხოვს მათ ნება მიეცეთ იქონიონ თავისი უქმე დღე.

**ხმ. პ. გოთუა** (ერ.-დემ.) სასურველად და სავალდებულოდ სთვლის: ყველამ თავისუფლად იქონიოს თავისი უქმე დღე და ერთმა ძალმომრეობა არ უნდა იხმაროს მეორეზე. სოც.-დემ. ფრაქციის აზრს იზიარებს ხმ. გრ. გველესიანი (ს.-ფ.).

საბჭო ხმის უმეტესობით და წინააღმდეგ გამგეობის ხმებისა იწონებს სოც.-დემ. ფრაქციის აზრს.

საჭირო სამრეწველო დაწესებულებებში სამუშაო დღეების სავალდებულო დადგენილების, ტექნიკურ მუშაკთა ფონდის განხილვა საბჭოს ვერ მოასწრო, საღამოს 10 ნახ. ს. ქვორუმი აღარ აღმოჩნდა და სხდომა დაიხურა.

## უკანასკნელი ცნობები

**თათბირი ყარაბაღის ამბების შესახებ.**

მთავრობის თავმჯდომარემ ბ-ნ ჟორდანიამ საგარეო საქმეთა მინისტრის ბინაზე მოიწვია წარმომადგენელნი მისიებისა მათ შორის უმაღლესი კომისარი ბრიტანეთისა მისტერ ოლივერ უორდროპი, გენ. კორბელი, გენ. დე ნონანკური და სხვა. თათბირს დაესწრო გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი ბ. ქარცივაძე მთავრობის თავმჯდომარემ გააცნო მისიათა წარმომადგენელთ სომეხ-თათართა შეტაკების ისტორია ყარაბაღში და რაც ასუსტებს ძლიერებას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისა და სთხოვა, მათ ავტორიტეტული ჩარევით მშვიდობიანობა ჩამოაგდონ ამ მხარეში. მისიების წარმომადგენლებმა გულდასმით მოისმინეს მოხსენება მთავრობის თავმჯდომარისა და აღუთქვეს ამ მხრივ ზომების მიღება.

**სამხედრო რწმუნებულთა ჩამოსვლა.**

ბათომიდან თბილისში ჩამოვიდნენ ბათომის ოლქში მყოფ ჯარების უფროსი გენ. მდივანი, სამხედრო შტაბის უფროსი გენ. ერისთავი და პოლკ. მელიქიშვილი. მათ გუშინ ინახულეს სამხედრო და საგარეო მინისტრები. გუშინვე საღამოს ისინი საგანგებო მატარებლით გაემგზავრნენ ბათომს.

**პოლონეთის საგანგებო მისია.**

თბილისში ჩამოვიდა პოლონეთის საგანგებო პოლიტიკური მისსია პოლონეთის მთავრობის რწმუნებულის მეთაურობით. მისსიაში 7 კაცი შედის. გუშინ მისიის წევრნი პოლონეთის მისსიის რწმუნებულ ბ-ნ ოსტროვსკის თანხლებით წარუდგა საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ გეგეჭკორს.

**მთავრობის რწმუნებულის ჩამოსვლა.**

გუშინ საგანგებო რწმუნებული მთავრობისა ბათომში, ბ-ნი მ. ხოჭოლავა თბილისში ჩამოვიდა ბ. ხოჭოლავა წარუდგენს მოხსენებას ბათომის ოლქის მდგომარეობის შესახებ. გუშინ იგი წარუდგა საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ გეგეჭკორს და მის ამხანაგ ბ-ონ ქარცივაძეს.

**სოჭის და ქერა ყუბანის ყაზახობისგან.**

შავი ზღვის პირის რწმუნებულთა მიღებულ ცნობების თანახმად გაგრიდან, სამი უძლიერესი ყაზახთა დახეული ნაწილები სოჭისაკენ გაემართა. ქალაქის მიდამოებში ადგილობრივ მოხალისეთა ნაწილებთან სასტიკი შეტაკება მოუხდათ. შედეგად სოჭი ყუბანის ჯარებმა დაიჭირეს.

**გენ ერდელის გაგზავნა.**

ჩრდილო კავკასიის ლაშქრის ყოფილი მთავარსარდალი იძულებული გახდა დაეტოვებინა თბილისი. 29 მარტს იგი გაემგზავრა ფოთს.

**პროფ. სიპოვსკის ჩამოსვლა.**

თბილისში ჩამოვიდა ჩრდილო-კავკასიის ყოფილი პროფ. სამოსწავლო ოლქის მზრუნველი პროფ. სიპოვსკი იგი მიემგზავრება ბაქოს.

## „ტაიმსი" ბათომის შესახებ

28 თებერვლის „ტაიმს"-ში მოთავსებულია შემდეგი ტელეგრაფით გადაცემული ცნობა კონსტანტინეპოლიდან:

„აქ მოვიდა ბათუმიდან მიმავალ ბრიტანეთის ჯარების პირველი ეშელონი. აქ მოელიან, რომ ქალაქს ქართველი ჯარები დაიკავებენ: მაგრამ საეჭვოა, შესძლებენ თუ არა ისინი წესრიგი დაამყარონ ბათუმის ოლქში რომელსაც ორგვარი ბანდები ემუქრებიან. პირველი ბანდები ბოლშევიკებს თანაუგრძნობენ.

ბრიტანეთის სამხედრო ძალა უფლებამ ბათუმში, რომელიც ძალიან ბევრს მუშაობს სხვა მარიი, გადადგა ერთ მხრივ ისეთი ნაბიჯი, რომელიც შემდეგ შეუცდარი აღმოჩნდა: მან ბათომში გააძლიერა დონის ფულის ტრიალი თბილისის ფულის ტრიალის მაგივრად, დენიკინის უკან დახევამ, რასაკვირველია, გამოიწვია დონის ფულის კურსის დაცემა, რაც ბათომის ბაზარსაც დაეტყო; ამას მოყვა შედეგად ფასების ზრდა და ფინანსიური პანიკა, რაზედაც გავლენა მოახდინა წითელმა პროპაგანდამაც.

მაგრამ წითლებზე უფრო საშიში ოსმალეთის ნაციონალისტური ბანდებია, რომლებსაც მხარს უჭერენ: ოსმალეთის ნაციონალისტური ორგანიზა-

ცია, ენვერისა და ნურის პანისლამისტური ორგანიზაცია, რომელიც დაღესტანში და ამიერ-კავკასიაში მუშაობს. ოსმალეთის უკიდურეს მიმდინარეობათა ინტერესი ამ უკანასკნელ ოლქში დიდი ხანია ცნობილია. ოსმალურ ენაზე მოსაუბრე ბათუმის ოლქში მცხოვრებთა შორის დიდი ხანია სწარმოებდა აქტიური პროპაგანდა და, ამბობენ, რომ ამ პროპაგანდამ უკვე გადაიბირა ქართველი მუსულმანები.

ერთად-ერთი სარგებლობა, რაც ბათომის ევაკუაციას მოჰყვა შედეგათ, ეს კონსტანტინეპოლში ბრიტანეთის ძალების გაძლიერებაა. მეორე მხრივ სჩანს, რომ ევაკუაცია მოხდარა მეტათ არა ხელსაყრელ მომენტში. როგორც გასულ ზაფხულში მომხდარი სამსუნის ევაკუაცია, ისე ეხლანდელი ევაკუაციაც უთუოდ გაამხნევებს ოსმალეთის ნაციონალისტებს მათი ავანტიურათა პოლიტიკისათვის. კიდევ მეტიც, ეს ევაკუაცია დამაღონებელი იქნება ამიერ-კავკასიის იმ ელემენტებისათვის, რომლებიც ჩვენგან მოელია ხსნას რუსეთის ან ოსმალეთის თავდასხმისაგან.

ჩვენი პოლიტიკა ამიერ-კავკასიაში უკანასკნელ ხანებში მეტათ ნაყოფიერი იყო. ამ პოლიტიკის მიზანი იყო მეგობრულ დამოკიდებულებათა დამყარება სომეხთა, თათართა და ქართველთა რესპუბლიკებს შორის და თუმცა ამ მხრივ ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ ამ პოლიტიკის დასაწყისი კარგი იყო. მაგრამ თუ არა სამხედრო ოკუპაცია ბათუმის—ამიერ-კავკასიის დასავლეთის პუნქტისა—ჩვენი დიპლომატიური ნაბიჯები, როგორც ნაბიჯები მეოთხე ნეიტრალურ პარტიისა ამ სამ რესპუბლიკათა შორის ატეხილ უთანხმოებათა მოგვარების დროს,— არ შეიძლება ნაყოფიერი იქნეს.

უნდა უფრთხილდეთ ჩვენი ჯარების გაყვანას იმ მომენტში, როცა ანტანტა ამ რესპუბლიკებს ჰპირდება დახმარებას გარეშე მტრის წინააღმდეგ ეს გარემოება იქ მოახდენს ცუდ შთაბეჭდილებას, განსაკუთრებით სომხეთში. ისინი იფიქრებენ, რომ ჩვენ არ ძალგვიძს დახმარება მივსცეთ ჩვენთან მეგობრულათ განწყობილ ელემენტებს.

ჯარების გაყვანა პოლიტიკური მოსაზრებით ხდება თუ სამხედროთი, არ არის გამორკვეული, მაგრამ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ზომის მიღება გამომდინარეობდეს ადგილობრივი სამხედრო, ანუ სამოქალაქო მმართველებისაგან. ზოგიერთი არა კეთილი კრიტიკოსები ამ ზომას ხატავენ, როგორც მუშათა პარტიის სურვილებს დამაკმაყოფილებელ ზომათ, იმ მუშათა პარტიის, რომელსაც ბათომი რუსეთი ჰგონია. მაგრამ ჯერ კიდევ საკითხია, დაკმაყოფილდება თუ არა მუშათა პარტია იმ ფაქტით, რომ სომხეთის რესპუბლიკა ახლა უფრო გაძლიერებულია, ვინემ ოდესმე“.

## ლორდ ბრაისი ოსმალეთის ნაციონალისტების შესახებ

ცნობილი სომხოფილი ლორდ ბრაისი კილიკიაში უკანასკნელ სომხეთა ჟლეტის შესახებ გაზ. „Man. guard“ შემდეგს სწერს:

— ეხლანდელი ეროვნული პარტია ეს გაგრძელებაა ახალგაზრდა ოსმალთა პარტიისა, ე. ი. თალაატის და ენვერის პარტიისა, რომელიც აძლევდა ბრძანებას ჟლეტის შესახებ. როგორ შეიძლება დავიჯეროთ, რომ ამ პარტიის ბელადებს ნება მივცეთ ხელში აიღონ მართველობა იმ ოლქებისა, რომელნიც მათ აოხრეს და თავის მსხვერპლთა სისხლით მორწყეს ეს ის „ნაციონალისტები“ არიან, რომელსაც ოსმალეთს ომში შეაქეზინეს და აუწერელ ძალმომრეობას იჩენდნენ ინგლისელ ტყვეების მიმართ, რომელთა ნახევარიც ამ ძალმომრეობის გამო დაიხოცა. ეს „ნაციონალისტები“ იყვნენ საუკეთესო მეგობრები გერმანიისა და ამით სულდგმულობდნენ. ამ გერმანიის მოკავშირეებს, რომელთა გამოც ქვეყნიერობა ესე დაზარალდა და დაიტანჯა და, რომელნიც ეხლა ბოლშევიკებს უერთდებიან პანისლამიზმის პროპაგანდისათვის რომ ხელი გაუწოდოთ, ეს იქნებოდა ყოვლად უბეკური საქციელი ჩვენის მხრით. და არც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამას მოისურვებს ერთი ინგლისელი პოლიტიკოსი მაინც გამოჩნდებოდეს. როგორც ქრისტიანების, ისე მუსულმანების ინტერესები მოითხოვენ, რომ ჩვენ გადავაყენოთ ის ხალხი, რომელნიც პასუხის მგებლები არიან ოსმალეთის ომში ჩარევის საქმეში და მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებაში, რომლის პასუხისმგებლობაც ეხლა ოსმალეთს ეკისრება.

და რომ ეს უკანასკნელი მომხდარიყო და გამოჩენილიყვნენ კეთილი მრჩეველნი ამ ყაჩაღურ ბრბოთა შესაცვლელად, რომელთაც ეს ქვეყანა ამ ბედს მოუწიეს, მაშინ არავითარი მიზეზი აღარ იქნებოდა, რომ ოსმალეთის სუვერენიტეტი აღიარებული ყოფილიყო მცირე აზიის იმ ოლქებში, რომელნიც მართლაც მაჰმადიანური ე. ი. ანატოლიის შინა პროვინციებსა და ჩრდილო ზღვის პირებზე. თუ შესაძლებელია რამე გაკეთდეს უკეთეს სამუსლიმანო მთავრობის შესაქმნელად, შეეცადნენ.

კილიკია და სომხეთი სხვა გარემოებაში არიან. ისინი შეიცავენ იმ ოლქებს, რომელთა სრულ განთავისუფლებას აპირებენ საფრანგეთის, ინგლისის და ამერიკის მთავრობები. ინგლისის ხალხი ელის ამ დაპირების ასრულებას“.

## რა საშუალებით უნდა დაკმაყოფილდეს საქართველოს ეკლესიის საჭიროებანი?

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი უკვე გამოქვეყნებულია (1919 წლის „საქართველოს რესპუბლიკა“ №№ 295 და 296). იქ სწერია: „სახელმწიფო და ეკლესია დამოუკიდებელნი არიან ერთმანეთისგან. იმ აქტებს, რომელსაც სარწმუნოებრივი ხასიათი აქვს, არავითარი გავლენა არა აქვს მოქალაქობრივ მდგომარეობაზე“. ამის გამო, „ყოველნაირი ხარჯი სახელმწიფო ხაზინიდან და ადგილობრივ თვითმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ კულტის (ე. ი. ეკლესიის) საჭიროებისათვის აღკრძალულია“.

დასკვნა: დამფუძნებელის კრების მიერ კონსტიტუციის პროექტის დამტკიცების შემდეგ, ეკლესიას ჩამოერთმევა სახელმწიფოებრივი აქტების (მეტრიკაცია ქორწინება განქორწინების) წარმოება და აღარ მიეცემა ის თანხა (2. 302, 775 მ. 16 კ. წელიწადში) რომელსაც იგი იღებს სახელმწიფო ხაზინიდგან (შეიძლება თუ სამართლიანობა იქნება დაცული ეკლესიას დაუბრუნდეს ის 149000 მან, რომელსაც იძლევა ხაზინა სახელმწიფოს მიერ ჩამორთმეულ მამულების შემოსავლის ან გარიში). თავის თავად ცხადია, რომ სახელმწიფოსაგან გამოყოფის შემდეგ, ჩვენი ეკლესიის მართვა-გამგეობის ორგანოები განმტკიცდებიან და მათ შესანახად აღარ იქმნება საჭირო იმოდენა თანხა, რაოდენიც საჭიროა დღეს, მაგრამ ეკლესიის საჭიროებანი მაინც საგრძნობელი იქნება.

მართლადაც, ვინ უნდა შეინახოს კათოლიკოზ-მღვდელმთავარნი, საბჭო სასამართლოები (კანცელარიებით), საკათედრო, სამონასტრო და სამრევლო სამღვდელოება, სამღვდელოების მოსამზადებელი სასწავლებელი, სიძველეთსაცავები, საქველმოქმედო დაწესებულებანი? ვინ უნდა გამოსცეს საღვთოწერილის და საეკლესიო წიგნები, ბეჭდვითი ორგანო, სახელმძღვანელოები, სასულიერო შინაარსის წიგნები და ფურცლები? რასაკვირველია თვით ეკლესიამ, მორწმუნეთა კრებულმა: საკითხი მხოლოდ ის არის, თუ როგორ უნდა მოეწყოს ეს საქმე. სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, მოკლედ მოვსჭრით,—ეს საქმე უნდა მოეწყოს ისე, როგორც არის მოწყობილი აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიებში სადაც სახელმწიფო ეკლესიის შესანახად ხარჯებს არ იწევს.

თუ მივიღებთ მხედველობაში ზემოხსენებულ ეკლესიების კანონებს და პრაქტიკას და შევუფარდებთ მას ჩვენი ეკლესიის „მართვა-გამგეობის დებულების“ 23 31 §§ ებს, შესაძლებელი გახდება შემდეგის წესის შემოღება:

1. სამრევლო, რომელიც მესაკუთრეა ყოველისავე სამრევლო უძრავ-მოძრავი ქონებისა (დებულება § 26, 1917 წლის ივლისის 25 კანონამდე ის მესაკუთრე არ იყო) და შემოსილია უფლებით, აირჩიოს საკუთარი კრებულის, უმაღლესის იერარქიისა და მართვა-გამგეობის ორგანოების წევრნი (§ 4, 7, 10, 13, 16, 19, 28, 29, 41 43, 45) და რომლის წევრად ითვლება ის, ვინც სამრევლო დავთარშია შეტანილი და იხდის სამრევლო გადასახადს (§ § 25, 28, 31), აძლევს თავის ეკლესიის კრებულს სავალდებულო ღვთისმსახურებათა (ნათლობა, ზიარება, ქორწინება, დასაფლავება, შაბათ-კვირა უქმეებში წირვა-ლოცვა) შესრულებისათვის და საჭირო სამრევლო საბუთების წარმოებისათვის განსაზღვრულ გასამრჯელოს (1917 წ. საეკლესიო კრებამ გასამრჯელოს რაოდენობა განსაზღვრა სამიათასი მანეთით წელიწადში, იმ დროის კურსით) და შესაფერ ბინას, ხოლო არა-სავალდებულო ღვთისმსახურებისათვის (პარაკლისები, ზეთის კურთხევა, პანაშვიდები და სხ.) აჯილდოვებს ნებაყოფლობით, ან შეთანხმებით.

იგივე სამრევლო თავის ყოველგვარ შემოსავლიდგან (§ 26, 31 გ) უგზავნის საეპარქიო საბჭოს განსაზღვრულ ნაწილის (მაგალითად 20-30%) ეპარქიის და საკათალიკოზოს საჭიროებისათვის.

2. ამ საჭიროებათა დასაფარავად ყოველ ეკლესიის კრებული იხდის განსაზღვრულ გადასახადს (მაგალითად სამ-სამ მანეთს თვითეულ ნათლობა-ქორწინება დასაფლავებაზე): ახალი წლის დასაწყისში წარსულის წლის სტატისტიკურ ცნობებთან ერთად ეკლესიის წინამძღვარი მხვედრს გადასახადს წარუდგენს საეპარქიო საბჭოს.

აღმოსავლეთის ზოგიერთი ეპარქიებში თუ ზემოხსენებული გადასახადი არ შეიტანა სამრევლომ და სამღვდელოებამ გიორგობამდე (აპრილის 23) მღვდელი ჰკარგავს ღვთისმსახურების შესრულების უფლებას და სამრევლო რჩება უმღვდელოდ: უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნის შიშით, სამრევლო და სამღვდელოება ყოველსავე ზომებს ხმარობს გადასახადების თავის დროზე შეტანისათვის.

3 ეპარქიათა და საკათალიკოზოს ზემოაღნიშნულ საჭიროებას უნდა მოხმარდეს, როგორც აქამდეც ხმარობდა, ეპარქიათა საზოგადო ქონების (სანთლის ქარხნის, შენობების) წმინდა შემოსავალიც.

4 მოსალოდნელია შემოწირულებანი კეთილის მყოფელთაგან ეკლესიის საზოგადო საჭიროებათათვის, მაგრამ ამაზედ იმედის დამყარება ძნელია.

და 5 ყველა ის საშუალებანი, რომელიც ზემოაღნიშნულ წყაროებიდან გროვდება საეპარქიო საბჭოში, იყოფა ორად,—ერთი ნახევარი ხმარდება ეპარქიის საზოგადო მოთხოვნილებას, ხოლო მეორე ეგზავნება საქართველოს ეკლესიის ცენტრალურ ორგანოს საკათალიკოზოს საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

რას მოგვცემს ეს ჩვენი პროექტი (უკეთ ჩანახი პროექტისა) ძნელია ითქვას დღეს, აპირო სტატისტიკურ ცნობების უქონლობის გამო, მაგრამ ერთი კი ცხადია,— საქართველოს ეკლესიის საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის სხვა საშუალება არ არის.

დეკ. კ. ცინცაძე.

## წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო რედაქტორო!

როგორც მომარაგების სამინისტროს განცხადებიდგან სჩანს, სტამბოლში და სხვა ქალაქებშიაც გაუვრცელებიათ ხმები, ვითომ ფოთში სუფევდეს საშინელი გადამდები სენი და მოტანილ საქონელს რეკვიზიციას უშვებოდნენ. მე როგორც კარანტინის ექიმს მაინტერესებს პირველი და რადგანაც ასეთ ხმებს დიდი ზარალია შეუძლი მოუტანოს საქართველოს, ამისათვის ვთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში მოათავსოთ შემდეგი:

„როგორც მომარაგების სამინისტროს განცხადებიდგან სჩანს, სტამბოლსა და სხვა ქალაქებში, ჩვენს მტრებს გაუვრცელებიათ ხმები, თითქოს ფოთში, როგორც პორტში ისე ახლო მახლო მიდამოებში გავრცელებულია სხვა და სხვა გადამდები სენი და იქ შესვლა გემებისათვის საშიშოა, ამისათვის მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს და სხვა და სხვა ფირმების წარმომადგენელთა საყურადღებოდ, გამოვაქვეყნო შემდეგი: რომ როგორც პორტში, ისე მის ახლო მახლო, არავითარი საშიში გადამდები სენი არ არსებობს და ეს ყალბი ხმები დასჭირდათ მხოლოთ მისთვის, რომ ხელი შეეშალათ იმ ნორმალურ აღებ-მიცემობისათვის, რომელიც უკვე არსებობს საქართველოსა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა შორის.

ფოთის საზღვაო-საექიმო მეთვალყურე სადგურის გამგე ექიმი ჯალაღანია.

გთხოვთ სხვა გაზეთებს ეს ცნობა გადაბეჭდონ.

რედაქტორი „სარედაქციო კოლეგია“
გამომცემელი თბ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი

**იყიდება**
28,000 მანეთად 56 ხკაჩი.
მისამართი: მიხეილის პროსპ. № 25 (ალექსის კუთხე) მაჩაუძე. 9—4 საათ

**ექიმი**
**დ. ი. ჯაფარიძე**
შინაგანი, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
ავადმყოფის მიღება 12—1 ნახ. ს. მადათოვის ქ. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელ. 16-65.

**მედიცინის დოქტორი**
**მ. ა. ახვერდოვი**
პეტროგრადის ვენერიული კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს ავადმყოფებს **სპეციალურად ვენერიულის, სიფილისის, კანის ავადმყოფებიანი,** დილით 10 12 საათამდე, საღამოს 5—7 ნახ. საათ. ახალ ბინაზე **მიხეილის პრ. № 7 ვორონცოვის ძეგლთან.** შესავალი **ეკლესიის ქუჩის კუთხიდან.**

## ბათომი.

(მოკლე ისტორიული ცნობები)

ბათომის სახელი პირველად ხსენებული აქვს ძველ რომაელ მწერალს პლინის (23-79 წ. ქრ. დაბ.), რომელიც როდესაც იხსენიებს ძველი კოლხიდის მდინარეებს ასახელებს მდ. **Bathys.** ისტორიკოსი არსიან ფლავი (80-160 წ.) თავის თხზულებებში იხსენიებს მდ. **Apsarus** (მაკრიალი), **Akampsis** (ჭოროხი) და **Bathys** (ქოროხის წყალი). თუმცა ამ მწერლებს თავიანთ ნაშრომში არ აქვთ ნახსენები ქალ. ბათომის არსებობა, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მდ. **Bathys** შესართავთან იყო მშვენიერი ნავთსადგური, სადაც თავს აფარებდნენ რომაელების სავაჭრო გემები, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ არსებობდა პატარა ქალაქი, სადაც იწყობოდა შემოტანილი თუ გატანილი საქონელი. მდ. **Bathys** თავისი სახელი მიიღო ნავთსადგურისაგან რომელსაც ეძახდნენ **Bathys limen,** ე. ი. ღრმა ნავთსადგური.

ქართულ წყაროებიდან სჩანს, რომ ბათომის მხარე საქართველოს სამეფოს შემოუერთდა მეფე ფარნაოზის დროს (III საუკ. ქრ. დაბადებამდე), ლაზისტანი ბერძნებს ჩაუვარდათ ხელში ვარაზ-ბაქარის დროს (379 393).

მეხუთე საუკუნეში ვახტანგ გორგასლანის დროს ლაზისტანი ისევ საქართველოს დაუბრუნდა.

ვახტანგმა ეს მხარე მზითვებში აიღო, როდესაც მან ბიზანტიის მეფის ლევი II ქალი შეირთო მეორე ცოლად. ბოლოს ვახტანგმა ეს მხარე თავის შვილებს (მეორე ცოლისაგან) სამფლობელოთ გადასცა.

ცოტა ხნის შემდეგ ლაზისტანი სპარსელებისა და ბიზანტიელების საცილოდ გადიქცა. საქმე ასე იყო, ლაზისტანის მართველი ბიზანტიელი ციბუსი მეტად სასტიკი კაცი იყო, მის წინააღმდეგ ამბოხება მოახდინეს ლაზებმა და საშველად სპარსელები მოიხმეს. სპარსელები ლაზებს დაეხმარნენ, მაგრამ ბრძოლის დროს დამარცხდნენ. ლაზისტანი ისევ ბიზანტიელების ხელში დარჩა. სპარსელების ყურადღება მაინც ლაზისტანისაკენ იყო მიქცეული. ბიზანტიის მეფემ ირაკლიმ 623 წელს სპარსელების დამარცხების მიზნით მოკავშირე საქართველოს მოუწოდა სპარსელების წინააღმდეგ და ტრაპიზონიდან გამოილაშქრა. საქართველოში ამოვიდა და ფაზისის (რიონის) ნაპირებზე გამაგრდა.

მე 6 საუკუნეში (523 წ.) სპარსეთის მეფემ ხოსრომ დიდძალი ჯარი გაგზავნა ბიზანტიის დასასჯელად. ეს ჯარი საქართველოში შემოვიდა და აქედან ემუქრებოდა მოწინააღმდეგეს. ერთ დროს მათ ლაზისტანის ციხე-სიმაგრე „პეტრა“ დაიჭირეს. 551 წელს მეტად გამწვავებული, ბრძოლა იყო სპარსელებისა და ბერძნების შორის ლაზისტანის გულისთვის. სპარსელები ხან სძლევდნენ, დამარცხდნენ და ხან ისა და ბერძნებს შორის შვიდი წლით მორიგება მოხდა ასეთი არეული იყო ლაზისტანის საქმეები მე-7 საუკუნეში.

ამ დროიდან იწყება არაბების ამ მხარეში შემოსევა.

ლაზისტანის მართველმა პატრიკ უს სერგიუსმა, რომელიც უკმაყოფილო იყო იმპერატორი ლეონტისა, ლაზისტანი გადასცა არაბებს (695 წ.) არაბებმა მთელი მხარე ააკლეს, ბევრი მცხოვრებლები დახოცეს და შემდეგ უკან დაბრუნდნენ.

ამ დროიდან დაწყებული მე 11 საუკ **Bathus limen** თავისი მიდამოებით სადაოთ გახდა და ხან ქართველებს ეჭირათ, ხან ბერძნებს.

მეფე ბაგრატ მე-4 მ (გარდაიცვალა 1072 წ.) აღადგინა ბათუმი.

1080 წ. ოსმალებმა დაამარცხეს ივერიის მეფე გიორგი, უკანასკნელი აქარიდან იმერეთში გამოიქცა. ოსმალებმა ლაზისტანი, აჭარა და შავშეთი თავისი ჯარებით აავსეს. მიუხედავად მისა, რომ ჩვენი წინაპარნი თავგანწირულად იცავდნენ თავიანთ მიწაწყალს, მაინც ვერას გახდნენ. ოსმალთა ჯარმა ბევრი საუკეთესო ქართველი მამული შვილნი გამოასალმეს წუთისოფელს და საუკეთესო მანდილოსანთ პატივი ახადეს და ბავშვები ტყვედ წაიყვანეს მცხოვრებლებმა მთებსა და ტყეებს შეაფარეს თავი.

მიუხედავად მისა, რომ ოსმალები ზამთრობით მიდიოდნენ ქართველები მაინც ვერ ბედავდნენ შინ დაბრუნებას.

ასეთი მდგომარეობა სუფევდა მინამ თამარ მეფემ ტრაპიზონი არ დაიპყრო.

1204 წელს თამარ მეფე როდესაც ტრაპიზონის ლაშქრობიდან ბრუნდებოდა თავისი ლაშქრით ბათომთან დასასვენებლად დაბანაკდა იმ ადგილს, სადაც ქოროხის წყალი ზღვას უერთდება. აქ დღესაც არის კოშკის ნანგრევების ნაშთები, რომელსაც თამარის ციხეს ეძახიან. აქვეა ძველი ციხის „კორიჯენის ციხის“ (ციხის-ძირის) ნანგრევებიც.

საქართველოში მონღოლების შემოსევის დროს, ლაზები ქართლ კახეთის სამეფოს ჩამოშორდნენ და იმერეთის მეფეს შეუერთდნენ.

დრო გამოშვებით ბათომსა და მის მიდამოებს გურიის მთავრები გურიელები ფლობდნენ.

ბარბარო იოსაფატი ამბობს, რომ 1437 წ. ბათომი სამეგრელოს თავადს ალექსანდრეს ეკუთვნოდაო.

ისტორიკოს ხალკიდელის მოწმობით, როდესაც ტრაპიზონი 1461 წ. მაჰმეტ II-მ დაიჭირა, მაშინ ბათომი თავ. გურიელს ეკუთვნოდა.

გიორგი გურიელის მემკვიდრემ ერისთავმა კახაბერ ვარდან ძემ ჭოროხის ხეობა და ქალაქი ბათუმი დამოუკიდებლად გამოაცხადა (1483 წ.).

1509 წელს ეს მხარე კახაბერების მფლობელობაში იყო. ამ წელს ოსმალებმა დაიჭირეს მთელი ივერიის სამხრეთის ნაწილი თავისი ციხეებით, მხოლოდ მარტო აჭარამ შესძლო თავისუფლების შენარჩუნება.

1535 წ. ოსმალებმა აჭარაც დაიმორჩილეს და 1564 წ. ბათომიც დაიჭირეს. მათ მდ. ჭოროხის ნაპირზე ციხე „გონია“ ააგეს. ეს ციხე დღესაც კარგად არის შენახული.

გურიის მთავრები ვერ შეურიგდნენ ბათომისა და მისი მიდამოების დაკარგვას. მათი მუდმივი ზრახვა იყო ბათომის დაბრუნება.

1609 წ. მამია გურიელმა მე-II-მ ჯარი შეჰკრიბეს და ბათომს დაეცნენ გურულები თავგანწირულად იბრძოდნენ ბათომთან, არა ერთი ვაჟკაცი იმსხვერპლა ამ ბრძოლამ, ბოლოს ოსმალთა დიდ რიცხოვან ჯარს ვეღარ გაუძლეს და უკან დაიხიეს. დამარცხებულმა გურულებმა ზავი შეჰკრეს ოსმალებთან. ამ დღიდან ოსმალებმა დიდი ყურადღება მიაქციეს ბათომს და მისი გარნიზონიც გააძლიერეს.

1645 წ. იმერეთის მეფემ მოინდომა ბათომის მხარის დაბრუნება. არა ერთი საუკეთესო მეომარი შეაკლა ბრძოლას, მაგრამ მაინც ვერას გახდა და უკან დაიხია.

1654 წ. დონის ყაზახთა რუსების მძარცველთა ბრბო ბათომთან გადმოიხდა და ციხე გონია დაიჭირა. ასეთი თავხედობით გაბრაზებულმა ოსმალებმა მათ ალყა შემოარტყეს და ყველანი ამოსწყვიტეს.

თავადი გურიელები არ ცხრებოდნენ და მაინც ლამობდნენ ბათომის დაბრუნებას. ისინი ხშირად თავს ესხმოდნენ ბათომის გარნიზონს და საქმეს უჭირვებდნენ. სულთან ახმედ მე-III მეტად გაჯავრდა გურულების თავგასულობამ და მათ დასასჯელად 1704 წ. ვეზირ გასსან ფაშის უფროსობით ჯარი გაგზავნა გურულების წასალაგმავად. გასსან-ფაშამ გურულები დაამარცხა და სამუდამოდ დააწყნარა, მანვე ბათომში სიმაგრეებიც ააშენა. უნდა ვსთქვათ, რომ ამ დროიდან იწყება ბათომის ახალი ისტორია.

მოგზაური ანდრიან დიუპრე სწერს, რომ 1804 წ. ბათომში 2,000 მცხოვრებლებზე მეტი არ იყოო. მცხოვრებლები ცხოვრობდნენ უბრალო ფიცრულ სახლებში, სახლები გაფანტული იყო ტყეებშიო. ნავთსადგურში მარტო უბრალო გემები შემოდიოდნენო.

1828 წ. შეიქმნა რუს-ოსმალეთის ომი. რუსებმა პირველად მიაპყრეს დიდი ყურადღება და გადასწყვიტეს ბათომისა და მისი მხარის ხელში ჩაგდება.

ოსმალებმა კარგად იცოდნენ რუსების გულის წადილი და ამისათვის ადრევე თადარიგს შეუდგნენ ძალიან გაამაგრეს როგორც ბათომი აგრეთვე ციხე გონია, ქობულეთი, ციხის ძირი, არდანუჩი და ართვინი. ბათომ აჭარას დასაჭერად რუსებმა ორი ლაშქარი გაგზავნეს—ერთი ოზურგეთიდან ბათომზე გენერალ გესსეს მეთაურობით და მეორე ახალციხიდან გენერალ ოსტენ-საკენის მეთაურობით.

თავდაპირველად მოლაპარაკება გამართეს მათ აჭარის მთავარ ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილთან. უკანასკნელი დასთანხმდა აჭარის რუსეთთან შეერთებაზე, მხოლოდ იმ პირობით თუ მას უბოძებდნენ გენერლის ჩინს და ლენტებს და აგრეთვე ფაქტიურად დარჩებოდა აჭარის ბატონ-პატრონი.

მოსალაპარაკებლად ახმედ-ბეგი მიწვეული იყო ახალციხეში.

ახმედ-ბეგს ხიმშიაშვილს ახალციხეში ჩასვლა დაუგვიანდა. ამასობაში მთელი რუსის ჯარების სარდალი გენერალი ბეჟუთოვი გარდაიცვალა და ხიმშიაშვილი სხვა გენერლებს აღარ ენდო.

რუსის გენერლებმა დასჯა მოინდომეს ურჩ ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილისა. ამ მიზნით ორი მხრიდან შეუტიეს მას. გენერალმა გესსემ დაიჭირა ქობულეთი და ბათომს ემუქრებოდა. აქ მას კინაღამ ხელში არ ჩაუვარდა გურიის დედოფალი კნ. სოფიო გურიელისა, რომელიც ოსმალების მხარეზე იყო და რუსების განდევნას სცდილობდა გურიიდან. კნ. სოფიომ ნავით მოასწრო გონიაში გაქცევა. ის იქ გარდაიცვალა 7 ენკენისთვეს 1829 წ. დასაფლავებული იქმნა მაკრიალის ბერძენთა მონასტერში.

ახმედ ფაშა ხიმშიაშვილი 17 ენკენისთვეს ციხის ძირის სიმაგრეებთან გენ. გესსეს ჯარს დაეცა და სასტიკად დამარცხა. რუსებმა 10 ოფიცრისა და 650 ჯარის კაცის გვამი დასტოვეს ბრძოლის ველზე. ამასობაში გენერალმა ოსტენ-საკენმა ზემო აჭარა დაიჭირა, დაანგრია და აიღო ახმედ-ბეგის სასახლე სოფ. ხულოში.

შემდეგ ახმედ ბეგს ბარათი გაუგზავნა და მორჩილებას სთხოვდა. ახმედ-ბეგმა სასტიკი უარი შეუთვალა. ფიცხლავ შემოიკრიბა ძალა და დაუპატიჟებელ გენერალს თავს დაეცა. სასტიკ ბრძოლის დროს აჭარლებმა რუსებს 7 ოფიცერი და 142 ჯარის კაცი და 50 ცხენი ამოუწყვიტეს. თავზარდაცემულმა გენერალმა ოსტენ-საკენმა ახალციხისაკენ მოკურცხლა. ასე სასტიკად დაამარცხეს აჭარლებმა დაუპატიჟებელი რუსები.

ადრიან პოლის ტრაკტატის ძალით 1842 წელს დანიშნული იქმნა საზღვრების გამმიჯნველი კომისია. ერთი ამ კომისიის წევრი პოლკოვნიკი პოლიკარპოვი თავის წერილებში ბათომის შესახებ სწერს. „ზღვის პირად გაფანტულია მცხოვრებთა სახლები აქა იქ მოსჩანს ძველი ციხეების ნანგრევები და ეკლესია, რომელიც კარგად შენახულა, და შესანიშნავია თავისი მხატვრობით. ქალაქის მცხოვრებლებს თუმცა მამადის სარწმუნოება მიუღიათ, მაგრამ ყველა ქართულად ლაპარაკობს, კიდობნებში საეკლესიო წიგნებს და სახლებშიდაც ხატები აქვთ“.

უკანასკნელ რუს-ოსმალეთის ომის დროს რუსებმა მაინც მიაღწიეს თავის სურვილს და ომის გათავების შემდეგ ბერლინის ტრაკტატის მე 59 მუხლის ძალით ბათუმი რუსებს დაეთმო. ბათუმის საკითხის გადაჭრამ დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია ინგლისის და რუსების წარმომადგენლების შორის.

ინგლისისათვის საჭირო იყო შავ ზღვაზე ბათუმის ნავთ-სადგური, საიდანაც მათ გზა ექნებოდათ თავიანთი საქონლის გასაზიდათ ამიერ-კავკასიაში, შუა აზიაში და სპარსეთში, ამისათვის ისინი მოითხოვდნენ ბათუმის „პორტო ფრანკო“ გამოცხადებას. რუსები ამის წინააღმდეგი იყვნენ საქმე იქამდის მივიდა, რომ ლორდ ბიკონსფილდმა კინაღამ მოლაპარაკება არ შესწყვიტა. რუსები დათმობის გზაზე წავიდნენ და ბათუმი „პორტო-ფრანკოთ“ გამოცხადდა.

ამის შემდეგ, 17 აგვისტოს 1878 წელს რუსებმა ბათუმი დაიჭირეს.

ავ. აბესაძე.